ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 274 (20620) ✦ ოთხშაბათი, 29 ნოემბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

სესიის დღიური

27 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პალატების მორიგი გაერთიანებული სხდომა. დღის წესრიგში შეტანილი იყო საკითხები, რომლებიც წინა კვირაში გადაუწყვეტელი დარჩა.

დეპუტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება პირველი წაკითხვით მოიწონონ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ კანონის ძირითადი დებულებები, მიზანშეწონილად მიიჩნიონ, გამოაქვეყნონ იგი ფართო განხილვისათვის, შემდგომი დამუშავება დაავალონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს შესაბამის კომიტეტებს.

მიიღეს დადგენილება ქვეყნის ეკოლოგიური გაჯანსაღების გადაუდებელ ღონისძიებათა თაობაზე, სსრ კავშირის კანონი „ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ".

უზენაესმა საბჭომ მოიწონა კანონპროექტები სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სტატუსისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ და უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს და შესაბამის კომიტეტებს დაავალა შეიტანონ მათში კორექტივები სახალხო დეპუტატების წინადადებათა და შენიშვნათა გათვალისწინებით. შესაბამისი დამუშავების შემდეგ ეს დოკუმენტები გამოტანილი იქნება, როგორც გადაწყვეტილი იყო, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის განსახილველად.

დეპუტატებმა პირველი წაკითხვით მოიწონეს მიწის შესახებ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის ძირითადი დებულებანი, დაავალეს უზენაესი საბჭოს შესაბამის კომიტეტებს დაამუშაონ იგი და შემდეგ გამოაქვეყნონ საყოველთაოსახალხო განხილვისათვის.

(საქინფორმი).

მ. გორბაჩოვი

სოციალისტური იდეა და რევოლუციური გარდაქმნა

საით მივდივართ? გარდაქმნის აზრი და დანიშნულება

გარდაქმნა თავისი ისტორიის ...თქმის ხუთი წლის მიჯნას მიახლოვდა. მიმდინარეობს 1985 ...ლის აპრილის გადაწყვეტილებით დაწყებული საზოგადოების ...ევოლუციური გარდაქმნის პროცესი, რომელიც ახალ, უფრო ფართო მასშტაბსა და სიღრმეს იძენს. და რაც უფრო მჭიდროდ ეხება გარდაქმნა ჩვენი ეკონომიკური და სოციალური სინამდვილის ...აგრივ ფენებს", მით უფრო ...ტს ვხედავთ ჩვენ ახლებურად. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებოდით იმის უფრო სრულსა და ყოველმხრივ გაცნობიერებას, რაც წამოვიწყეთ, რასაც გარდავქმნით, საზოგადოებისაკენ მივდივართ ..., მაშასადამე, ვუახლოვდებოდით ყოველივე იმის აზრის საკმაოდ მკაფიო გაგებას, რასაც ვაკეთებთ. თუ პირველ ხანებში გვგონა, რომ საქმე ეხება ძირითადად მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზმის ცალკეული დეფორმაციების გამოსწორებას, წინა ათწლეულების მანძილზე შექმნილ და მთლიანად დამკვიდრებულ სისტემის სრულყოფას, ახლა უკვე ვამბობთ, რომ რადიკალურად უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი საზოგადოებრივი შენობა — ეკონომიკური საძირკვლიდან ზედნაშენამდე. და არა მარტო ვამბობთ, არამედ პრაქტიკულადაც ვახორციელებთ ღონისძიებებს, რათა მოვახდინოთ საკუთრებითი ურთიერთობის, სამეურნეო მექანიზმის, პოლიტიკური სისტემის რეფორმირება, შევცვალოთ სულიერი და ზნეობრივი კლიმატი საზოგადოებაში.

მაგრამ რაკი ამ რევოლუციური გარდაქმნების გზას დავადექით, მოვალენი ვართ შევუსატყვისოთ ისინი პერსპექტივას, ჩავუფიქრდეთ მთელი ჩვენი მუშაობის ფუნდამენტურ თეორიულ საფუძვლებს. თუ არ გვექნა ასეთი სტრატეგიული მიდგომები, თუ [illegible] არ ვიქონიეთ თვალთახედვის არეში ძირეული საკითხები, წინ ვერ წავიწევთ.

საკუთარი თავის შემეცნების, გარდაქმნის აქტუალური და სტრატეგიული მიზნების ადეკვატური გაგებისადმი მიახლოების საფეხური გახდა პარტიის მიერ 1985 წლის აპრილის შემდეგ გაშლილი თეორიული მუშაობა. გავლილი გზის გააზრება და სოციალიზმის ჩვენეული გაგების განახლება, მისი ახალი სახის, საბჭოთა საზოგადოების თვისებრივად ახლებური მდგომარეობის მიღწევის გზის ძირითადი პარამეტრების განსაზღვრა — ყველა ეს და სხვა პრინციპული თეორიული პრობლემა პარტიამ საერთო განხილვისათვის გამოიტანა. გარდაქმნის წლებში უდიდესი მუშაობა გასწიეს მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა.

საქმე არ ეხებოდა, არ ეხება და არც შეიძლება ეხებოდეს იმას, რომ გამოვიგონოთ მომავლის [illegible] მოდელი და შემდეგ თავს მოვახვიოთ იგი ცხოვრებას. მყოფადს წარმოშობს არა მომავალზე ოცნება, არამედ აწმყო, წარმოშობს აწმყოსათვის დამახასიათებელი განვითარების წინააღმდეგობები და ტენდენციები, ჩვენი საერთო ლტვა. ამის დავიწყება ნიშნავს პროჟექტიორობას მივყოთ ხელი.

ზოგ-ზოგები ცდილობენ გვისაყვედურონ, თითქოს ჩვენ არ გაგვაჩნდეს გარდაქმნის კონცეფციის რეალიზაციის მკაფიო დეტალური გეგმა. არა მგონია შეიძლებოდეს დავეთანხმოთ საკითხის ასე დაყენებას. ვფიქრობ, თეორიულ შეცდომას დავუშვებდით, ისევ რომ დაგვეწყო საზოგადოებისათვის მზამზარეული სქემების თავს მოხვევა და ცხოვრების, რეალური სინამდვილის მორგება სქემების „პროკრუსტეს სარეცლისათვის". სწორედ ეს ახასიათებდა სტალინიზმს, რომელიც ჩვენ [illegible] არ გამოგვადგება. ჩვენ მოქმედებთ ლენინისებურად. ...ლო იმოქმედო ლენინისებურად, — ეს ნიშნავს გამოიკვლიო როგორ წარმოიშობა მომავალი დღევანდელი სინამდვილიდან და ამის შესაბამისად დააწყო [illegible].

სწორედ ასე ვიქცევით ჩვენ. ...ა, შეადარეთ ერთმანეთს ჩვენი თუნდაც ორიოდე წლისწინანდელი და ახლანდელი მიდგომები. ყოველი საღად მოაზროვნე კაცისათვის ნათელია შეხედულებათა დინამიკა, ნათელია ჩვენი წინსვლა-განვითარება. ამ დროის მანძილზე ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ. ბევრი რამ გავიგეთ, კერძოდ, დავინახეთ ჩვენი ხარვეზებიც. და დღეს რადიკალურად, ნაბიჯ-ნაბიჯ ვცვლით საზოგადოების ცხოვრების ორგანიზაციის ფორმებს. გვესმის, რომ საჭიროა უფრო მეტად დავაჩქაროთ ეს საქმე. მაგრამ არა რეფორმების შინაარსის, ხარისხის საზიანოდ, — იქნება ეს ეკონომიკის სფეროში, პოლიტიკის სფეროში თუ ეროვნულ ურთიერთობათა რეგულირებაში.

აბა, ვნახოთ, რა ალტერნატიულ კონცეფციებს გვთავაზობენ? ასეთი კონცეფციები საერთოდ არ არსებობს. შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ ორგვარ თვალსაზრისზე, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ გაისმის დღეს. პირველი, — ეს არის შევინარჩუნოთ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა, დეტალური დაგეგმვა, მბრძანებლობა არა მარტო ეკონომიკაში, არამედ კულტურაშიც. მეორე, იმ შეხედულებაზე დამყარებული თვალსაზრისი, თითქოს გამოვლილმა გზამ მთლიანად გააცამტვერა ოქტომბრის არჩევანი, საზოგადოების კაპიტალიზაციას გულისხმობს. შეგვიძლია ჩვენ ვიაროთ ამ გზებით? არა, ჩვენ მათ უარვყოფთ. ამის თაობაზე ჩვენი არგუმენტები ცნობილია. ჩვენ გვესახება სულ სხვა გზა, რომელსაც საზოგადოების პროგრესისაკენ მივყავართ.

დღეს ჩვენს წინაშე დგას მარქსისტული აზროვნების, სინამდვილისადმი მარქსისტული მიდგომის ავტორიტეტის აღორძინების რთული ამოცანა. გარდაქმნის კონცეფციისა და პოლიტიკის შემდგომ შემუშავებაში, განვითარებადი სოციალიზმის პრობლემების გაგებაში ჩვენ დაგვჭირდება მარქსისტული მეთოდოლოგიის მთელი საუნჯე, ამ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მსოფლიო იდეოლოგიის მსოფლმხედველობა და ღირებულებრივი დებულებები.

სოციალიზმმა უნდა გაიცნობიეროს საკუთარი თავი იმ ღრმა საზრისის ადეკვატურად და შესაბამისად, რომელიც მასში, როგორც იდეაშია მოქცეული დასაბამიდან. და, რა თქმა უნდა, — კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპის კონტექსტით. ოქტომბრის შემდგომი შვიდი ათწლეული ხომ ისტორიული მასშტაბით არც ისე დიდი დროა იმისათვის, რომ ნამდვილად ჩამოყალიბდეს ახალი საზოგადოება, რომელიც კაცობრიობის პროგრესის ახალი ეპოქის დასაწყისია. გარდაქმნა ჩვენ მიგვაჩნია სოციალიზმის ისტორიული გზის გრძელვადიან ეტაპად, რომლის დროსაც ხორციელდება ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემის უკუგდება და ჭეშმარიტად დემოკრატიული, თვითმართული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

ამ გარდამავალ პერიოდში, რომელიც თავისი არსებით რევოლუციურია, ერთმანეთს უკავშირდება, ერწყმის და ერთმანეთთან თანამოქმედებს ნაირგვარი ელემენტები და ფაქტორები. სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური ფორმებისა და ინსტიტუტების, იდეოლოგიური ტენდენციების შეჯიბრებაში გამოკრისტალდება საზოგადოებრივი ყოფიერების ახლებური თვისება, სოციალიზმის ახლებური ხატი. განვითარებადი სოციალიზმის განახლება, — ეს არის პროცესი, რომელიც სცილდება ათწლეულების მიჯნას და გადადის XXI საუკუნეში.

ჩვენ გაბედულად უნდა ვუსწოროთ თვალი მომავალს. გარდავქმნით რა ჩვენს საზოგადოებას, ჩვენ ვემყარებით ჰუმანური, თავისუფალი და გონიერი საზოგადოების აშენების სოციალისტური იდეის გიგანტურ ინტელექტუალურ და ზნეობრივ პოტენციალს, იდეისა, რომელსაც ჩვენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას ვუკავშირებთ.

II. მარქსიზმ-ლენინიზმი და სოციალიზმის თეორია

ისტორიამ მწვავედ დააყენა ...ვით სოციალისტური იდეის ცხოველმოქმედების საკითხი. უკ... ...ალარ კმარა ამტკიცო, რომ იგი შეესატყვისება ისტორიული პროცესის ლოგიკას, მშრომელი ხალხის მრავალსაუკუნოვან მისწრაფებებს. დღეს სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები, თითქოს სოციალისტური იდეა ხელოვნურ გონებაჭვრეტითს მოდელს წარმოადგენდეს და ამიტომ არა აქვს მომავალი, რომ მისმა გამომხატველმა და დამასაბუთებელმა მარქსიზმის თეორიამ, ვითომდა, არ გაამართლა დანიშნულება, ვინაიდან მისი ბრალია ჩვენი საზოგადოების კრიზისული მდგომარეობა.

ეს თემა, მისი პრინციპული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, სერიოზულ ანალიზს მოითხოვს.

სოციალიზმის იდეას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. იგი შთააგონებდა ბევრ საზოგადოებრივ, მათ შორის, რევოლუციურ მოძრაობას საუკუნეთა მანძილზე. მარქსმა და ენგელსმა, რომლებიც ღრმად განიმსჭვალნენ სოციალისტური იდეით, გაათავისუფლეს იგი უტოპიური ილუზიებისა და პროჟექტორობისაგან, წარმოადგინეს მეცნიერული სოციალიზმი ცივილიზაციის პროგრესისა და მუშათა კლასის, მშრომელი მასების ისტორიული შემოქმედების კანონზომიერ პროდუქტად. ამავე დროს მათ მკვეთრად გამიჯნეს იგი ტლანქი, გამთანაბრებელი, „ყაზარმული" (მარქსი) კომუნიზმისაგან, და ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება დაუკავშირეს მატერიალური წარმოების, დემოკრატიისა და პიროვნების უმაღლეს განვითარებას.

✦ საით მივდივართ? გარდაქმნის აზრი და დანიშნულება
✦ მარქსიზმ-ლენინიზმი და სოციალიზმის თეორია
✦ სოციალიზმის იდეა და სოციალისტური პრაქტიკა
✦ გარდაქმნა და სოციალიზმზე ახალი შეხედულება

სტატიაში სინთეზირებული და განვითარებულია იდეები, რომლებიც ავტორს ჩამოყალიბებული აქვს ამ ბოლო ხნის მთელ რიგ გამოსვლებში.

სოციალისტური იდეის ასეთი განმარტება უდიდესი სოციალური და სულიერი განძია: მის ცენტრშია ადამიანი, ადამიანის ყოველმხრივი — მატერიალური, ინტელექტუალური, ზნეობრივი განვითარება ექსპლოატაციისაგან და ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ საზოგადოებაში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ განვლილი დროის მანძილზე საზოგადოებრივმა აზროვნებამ ძირითადად და უმთავრესად ვერ უარყო და ვერ გააბათილა „თავისუფლების სუფევის" დამკვიდრების მარქსისეული იდეა, რომელიც ემყარება ადამიანთა მიერ მატერიალური წარმოებისა და თავიანთი საკუთარი საზოგადოებრივი ურთიერთობის დაუფლებას.

მარქსიზმის ფუძემდებელნი არასოდეს არ ყოფილან გატაცებულნი ახალი საზოგადოების განვითარების კონკრეტული ფორმებისა და მექანიზმების გამოგონებით. ისინი ამუშავებდნენ სოციალისტურ იდეას, ამასთან ეყრდნობოდნენ რეალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, თავიანთი დროის რევოლუციური მუშათა მოძრაობის პრაქტიკას. ამტკიცებდნენ კაპიტალიზმის ისტორიულად წარმავალ ხასიათს და საზოგადოებრივი განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლის ისტორიულ აუცილებლობას, ამასთან ისწრაფოდნენ რევოლუციური სოციალური ძალებისათვის მიეცათ სოციალიზმის დასამკვიდრებლად ბრძოლის დასაბუთებული ლოზუნგი. კლასიკოსებმა მოგვცეს საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციების მხოლოდ ზოგადთეორიული მოდელი, რომელიც საიმედო ორიენტირად გვევლინება სოციალური პრაქტიკის შემეცნებასა და გარდაქმნაში. რაც შეეხება კაპიტალიზმის შემცვლელი მომავალი საზოგადოების წყობილებას, მასზე ლაპარაკი იყო მხოლოდ უზოგადესი ფორმით და, უმთავრესად, მისი ძირითადი პრინციპების თვალსაზრისით.

ცხადია, რომ მარქსიზმის ფუძემდებელნი და მათ მიერ შექმნილი თეორია ვერ აგებენ პასუხს პიროვნების კულტისა და უძრაობის წლებში მომხდარი სოციალიზმის დეფორმაციის, ამა თუ იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა მცდარი მოქმედებისათვის. და არა მარტო იმიტომ, რომ თეორიას ამ მოვლენებისაგან დროის საუკუნოვანი მიჯნა აშორებს, არამედ არსებითადაც.

ეს ეხება, კერძოდ, მარქსიზმის ზოგიერთ გავრცელებულ განმარტებას. მაგალითად, მიაჩნიათ, რომ სასაქონლო წარმოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, რომელიც ჩვენში ათწლეულების მანძილზე მკვიდრდებოდა, მომდინარეობს უშუალოდ მარქსისაგან, რომელიც ვარაუდობდა, რომ კერძო საკუთრებისაგან საზოგადოებრივ საკუთრებაზე გადასვლისას ღირებულების საზოგადოებრივი კანონი ჰკარგავს თავის უნარს იყოს წარმოების რეგულატორი. მაგრამ მარქსი ხომ სასაქონლო წარმოების დაძლევას უკავშირებდა არა მარტო საზოგადოებრივ საკუთრებას, არამედ საწარმოო ძალების განვითარების უმაღლეს დონესაც, როდესაც ადამიანსა და ბუნებას შორის ყალიბდება „კვლავწარმოებადი საწარმოო პროცესი", რის შედეგადაც ადამიანი ვეღარ იქნება მატერიალური წარმოების უშუალო მონაწილე.

აქ საფუძვლად არის მიღებული მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, თანაც იმ დონეზე, რომლისთვისაც დღესაც ვერ მიუღწევია ვერავის მთელ მსოფლიოში. საწარმოო ძალების განვითარების ასეთი დონე, ცხადია, ახასიათებს ახალი ფორმაციის არა ადრეულ საფეხურს, რომელზეც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, არამედ მის შორეულ მომავალს. და თუ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების უგულებელყოფას თავს ახვევენ ღატაკ, გაჩანაგებულ ქვეყანას, თუ უშუალო პროდუქტგაცვლაზე გადადიან ყოველივე აუცილებლის საყოველთაო უქმარისობის პირობებში, როგორც ეს სამხედრო კომუნიზმის პერიოდში იყო, განა შეიძლება თეორიის ასეთი გამოყენებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ თეორიის შემქმნელებსა და თვით თეორიას? ჩვენ ჯერაც არ გამოგვიკვლევია, რატომ დარჩა უყურადღებოდ ლენინისეული შეფასება, რომელმაც შეცდომად მიიჩნია სამხედრო კომუნიზმის პერიოდის პირველი ცდები დაემკვიდრებინა სოციალიზმი უშუალო პროდუქტგაცვლაზე გადასვლის გზით (იხ. ვ. ი. ლენინი. თხზ. სრ. კრ., ტ. 44, გვ. 157-158; 194; 204-205).

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარქსმა ჯეროვნად ვერ შეაფასა კაპიტალიზმის თვითგანვითარების შესაძლებლობანი, რომელსაც შეეძლო შეესისხლხორცებინა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები და ჩამოეყალიბებინა ისეთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სტრუქტურები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მის ცხოველუნარიანობას, შეექმნა განვითარებული კაპიტალიზმის ქვეყნებში მოსახლეობის უმრავლესობის კეთილდღეობის შედარებით მაღალი დონე, რაც, რა თქმა უნდა, არ აუქმებს მის ღრმა შინაგან წინააღმდეგობებს.

თუმცა მარქსი პირველი იყო, რომელმაც დაინახა განვითარების უდიდესი პოტენცია მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში, უშუალო საწარმოო და სოციალურ ძალად მეცნიერების გადაქცევაში, მან ვერ განჭვრიტა, რომ მომავალი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია შეიძლებოდა კაპიტალიზმის განვითარების ახალი წყარო გამხდარიყო. ეს იოლი მისახვედრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარქსი აპროგნოზებდა მხოლოდ მისთვის ცნობილი XIX საუკუნის კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობებს. მას არ ეგონა, რომ ორი სოციალური სისტემა დიდხანს იარსებებდა ქვეყნების დიდ ჯგუფებში, რამაც კაპიტალიზმი აიძულა მიემართა თვითსრულყოფის, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში სოციალისტური გამოცდილების მნიშვნელოვანი ელემენტების დამკვიდრების, პოლიტიკური წყობის დემოკრატიზაციისათვის, რამაც, ერთად აღებულმა, კაპიტალიზმს შესაძლებლობა მისცა მოეკრიბა დამატებითი ძალები, შესატყვისებოდა დროის გამოწვევას.

გარდა ამისა, ჩვენს დროში მწვავედ გამოვლინდა ახალი პრობლემები, რომლებიც ან არ იყო წარსულში, და ამიტომ ვერ იქნებოდა კლასიკოსთა ანალიზის საგანი, ანდა, არსებობდა მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაში. სერიოზულად შეიცვალა კაპიტალისტური საკუთრების ხასიათი. შეიცვალა მისი სტრუქტურა, განსაკუთრებით ახლა, მთლიანად კაპიტალისტური მეურნეობის ტრანსნაციონალიზაციასთან და წარმოების ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. გლობალური პრობლემები იმდენად გამწვავდა, რომ უამპრობლემებოდ დღეს შეუძლებელია შევიქმნათ რეალისტური წარმოდგენა საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ტენდენციებზე, კაცობრიობის მომავალზე.

და ბოლოს, არსებობს სოციალიზმის მსოფლიო გამოცდილება, რომელსაც შეგვიძლია დავეყრდნოთ ჩვენი განვითარების მიზნების განსაზღვრაში. დღეს ჩვენ უფრო ფართოდ, ღრმად და რეალისტურად გვესმის სოციალიზმი, ვიდრე ცოტა ხნის წინანდელ წარსულში. გვესმის იგი, როგორც მსოფლიო პროცესი, რომელშიც სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომ სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად თავიანთი ადგილი უკავიათ სოციალისტური აზროვნების სხვადასხვა მიმდინარეობებსაც მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში და შემადგენლობითად და მოტივაციით განსხვავებულ საზოგადოებრივ მოძრაობებსაც.

სოციალიზმი ისევე მრავალფეროვანია თავისი გამოვლინებებით, როგორც თვით ცხოვრება, რადგან ეს არის ადამიანთა მილიონიანი მასების ცოცხალი შემოქმედება. ამიტომ ყოველ ცალკეულ საზოგადოებაშიც კი გარდაუვალია სოციალისტური განვითარების მრავალვარიანტულობა. მით უმეტეს სწორია ეს მთელი მსოფლიო გაერთიანების მასშტაბით. მრავალვარიანტულობას განაპირობებს საზოგადოებრივი საწარმოო ძალების განვითარების განსხვავებული დონე; ყოველი ერის ისტორიული, ეროვნული, კულტურული ტრადიციების თავისებურება.

ასეთი თვალსაზრისით ვუდგებით ჩვენ სოციალ-დემოკრატიის გამოცდილებასაც. ვხედავთ და ღირსეულად ვაფასებთ მის საუკუნოვან წვლილს სოციალიზმის ღირებულებათა განვითარებაში, სოციალური რეფორმების განხორციელებაში, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დასავლეთის ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის და სოციალური დაცულობის გაუმჯობესებას. სოციალ-დემოკრატიის მიერ შეძენილ მდიდრულ, მრავალმხრივ, თუმცა არაერთგვაროვან გამოცდილებას ჩვენ ინტერესით ვსწავლობთ და ვისწრაფვით გამოვიყენოთ ამ გამოცდილებიდან ყოველივე ის, რაც შეეფერება ჩვენი საზოგადოების პირობებს.

წარუვალი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მარქსიზმმა, განავითარა რა სოციალიზმის იდეები, სოციალიზმი წარმოგვიდგინა ცივილიზაციის პროგრესისა და ხალხის ისტორიული შემოქმედების კანონზომიერ პროდუქტად. ამით გამოიხატა მისი მეცნიერული მიდგომა ახალი საზოგადოების დასაბუთებისადმი. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მიდგომა შევინარჩუნოთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი არ არის მოცემული ერთხელ და სამუდამოდ.

III. სოციალიზმის იდეა და სოციალისტური პრაქტიკა

1. ლენინი: „სოციალიზმზე მთელი ჩვენი თვალსაზრისის შეცვლა"

როდესაც მომავალზე ვლაპარაკობთ, ჩვენ გარდაუვალად მივმართავთ წარსულს. ჩვენი შემდგომი განვითარების გზების საკითხი განუყრელად უკავშირდება ოქტომბრის შეფასებას. არც ერთი რევოლუცია არ მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი გეგმით, არც ერთი რევოლუცია არ გვაძლევს ზუსტად ისეთ შედეგებს, როგორსაც მოელოდნენ მისი მონაწილენი, — ამას მოწმობს კაცობრიობის ისტორიის მთელი გამოცდილება. ეს ეხება სოციალისტურ რევოლუციასაც, რაც არაერთგზის აღუნიშნავთ მარქსიზმის კლასიკოსებს. „წინასწარ მომზადებული აზრები მომავალი საზოგადოების ორგანიზაციის დეტალებთან დაკავშირებით? თქვენ მათს ნიშანწყალსაც ვერ გვიპოვით ჩვენ", — ამბობდა ფ. ენგელსი (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. თხზ.; ტ. 22, გვ. 563). რაც შეეხება წესს — „თითოეული — უნარის მიხედვით, თითოეულს — მოთხოვნილების მიხედვით", მისი განხორციელების გზით მოძრაობის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: „რა ეტაპებით, რა პრაქტიკულ ღონისძიებათა გზით გაემართება კაცობრიობა ამ უმაღლესი მიზნისაკენ, ჩვენ არ ვიცით და არც შეიძლება ვიცოდეთ". (თხზ. სრ. კრ. ტ. 33 გვ. 99). და ეს ითქვა უკვე თებერვლის შემდეგ, ოქტომბრის დამდეგს, ითქვა „სახელმწიფოსა და რევოლუციაში", წიგნში, რომელიც შეიცავს სოციალისტური მომავლის ყველა იმ აღწერათაგან ყველაზე დეტალურ აღწერას, როგორიც კი მოუცია მას რევოლუციური პრაქტიკის დაწყებამდე.

რა თქმა უნდა, ეს როდი ნიშნავს, თითქოს რევოლუციის რეალური შედეგები, ახლობელი თუ შორეული, არ ექვემდებარებოდეს პოლიტიკურ და მეცნიერულ შეფასებას და გადაფასებას. გამოცდილების დაგროვების კვალობაზე ასეთი გადაფასება დღენიადაგ წარმოებს. და თუ ჩვენ ოქტომბერს ვუკავშირებთ ქვეყანასა და მსოფლიოში განვლილი 72 წლის მანძილზე მომხდარ უდიდეს პროგრესულ ცვლილებებს და ვუკავშირებთ სრულიად საფუძვლიანად — ჩვენ თავიდან ვერ ავიცილებთ ვერც იმ კითხვას, თუ რამდენად გახდა შესაძლებელი ახალი საზოგადოებრივი წყობილების პირობებში სოციალისტური კანონიერების დარღვევები, მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებების შელახვა და სხვა ნეგატიური მოვლენები.

დიახ, ჩვენი წარსული არაერთგვაროვანია. მასში ერთმანეთს ერწყმის გამარჯვებები და მარცხი, აღმოჩენები და შეცდომები, ნათელი და ტრაგიკული, რევოლუციური ენთუზიაზმი, გმირული შრომა და მსხვერპლი, დიდი იმედები და იმედგაცრუება. ჩვენ ვერ განვუდგებით ჩვენს ისტორიას. სწორედ წარსულში უძევს სათავე ბევრ ჩვენს დღევანდელ პრობლემას. სოციალიზმის მთელი გამოცდილება — გმირულიცა და ტრაგიკულიც — ხომ კაცობრიობის კუთვნილებაა. იგი მთლიანად ღრმად უნდა შევისწავლოთ და გავიაზროთ. ამ შემთხვევაში არათუ ჩვენი გამარჯვებები, დანაკარგებიც კი არ იქნება ამაო, ჩვენ უკეთ გავიგებთ, რა საფრთხე მოგველის წინ და როგორ ავიცილოთ იგი თავიდან.

ახლა, საკუთარი ისტორიის არსში ჩვენი ჩაღრმავების კვალობაზე, კიდევ უფრო ცხადი ხდება, რომ ოქტომბრის რევოლუცია არ ყოფილა ამაო — და არა მარტო იმიტომ, რომ მისი რეალური ალტერნატივა სულაც არ იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც დღეს გვარწმუნებენ ამაში ზოგ-ზოგები, არამედ ეს იყო ანარქიული ამბოხება და მხედრიონის პირსისხლიანი დიქტატურა, რეაქციული, ანტიხალხური რეჟიმის დამკვიდრება.

ეჭვი არ არის, რომ ოქტომბრის რევოლუცია იყო არა შემთხვევითობა, არამედ დიადი მსოფლიო-ისტორიული გაჭრა მომავალში, იყო განაცხადი, რომ გადავწყვეტდით საზოგადოებრივ პრობლემებს ხალხის საკეთილდღეოდ, შევქმნიდით უმაღლესი მატერიალური და სოციალური პროგრესის ხელშემწყობ სოციალურ პირობებს, ჩავაბამდით შეგნებული სოციალური შემოქმედების პროცესში მშრომელთა მთელ მასას.

(გაგრძელება მე-2 გვ.).

მოვეკიდოთ საქმეს პასუხისმგებლობით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, სხვებთან ერთად იდგა სამი „საკვანძო" საკითხი. ჩვენ მათ გამოვყოფთ იმ მნიშვნელობის გამო, რომელიც მათ აქვთ რესპუბლიკისათვის, თითოეული მისი მცხოვრების, ყველა ჩვენგანისათვის.

შეიძლება დაგვებადოს კითხვა: რატომ იხილავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო ზამთრის პერიოდში მუშაობისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მზადყოფნის მდგომარეობას. ხომ ცნობილია, რომ პარტია დაადგა პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის კურსს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ცენტრალურ კომიტეტს ცხოვრების ამ დარგში რესპუბლიკაში საქმის ვითარება მიაჩნია არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკურ პრობლემად. როგორც ბიუროს სხდომაზე აღინიშნა, არის დიდი დაუკმაყოფილებლობა ყველა ორგანოს, ამ მნიშვნელოვან საქმეში მონაწილე უწყებების, იმ თანამდებობის პირების, კომუნისტების, ყველა იმათი მუშაობის გამო, ვინც თავისი სამსახურებრივი მოვალეობითა და პარტიული პასუხისმგებლობით მოვალეა უზრუნველყოს დღეისათვის ამ უმნიშვნელოვანესი და უმწვავესი პრობლემის გადაჭრა.

სწორედ ამ თვალთახედვით მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის მიერ ბიუროს სხდომაზე გამოტანილი ამ საკითხის განხილვა. ეს ფაქტი აგრეთვე განსაზღვრავს განხილვის მიზანსა და დანიშნულებას: მინდობილი უბნისათვის პარტიულ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს ყველა — მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკური სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები იქნებიან ისინი, თუ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, ყველა იმ სამსახურისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ვისაც მინდობილი აქვს უზრუნველყოს ადამიანთა ნორმალური ცხოვრება, იზრუნოს მათი შრომისა და ყოფისათვის.

მდგომარეობა კი აქ უაღრესად რთულია. ამაში ყველანი ნათლად დავრწმუნდით ამ რამდენიმე დღის განმავლობაში, როცა ზამთარმა თავისი შემოტევით გვიჩვენა მისთვის დამახასიათებელი სუსხი. ამაზე მეტყველებს მრავალი საჩივარი ქალაქებში ბინების ცუდი თბომომარაგების გამო, უდიდესი შეფერხებანი რიკოთის უღელტეხილზე, მატარებლების დაგვიანება, სოფლად პირველი საჭიროების საქონლით, უწინარეს ყოვლისა, სურსათითა და სათბობით მომარაგების დარღვევა, ჩვეულებრივად ქცეული კილომეტრიანი რიგები ბენზინისათვის.

თავი იჩინა ხარვეზების შედეგებმა რესპუბლიკის დედაქალაქშიც. მათზე საფუძვლიანად ილაპარაკა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. ანდრიაძემ. თბილისში ბევრი რამ გაკეთდა. ზამთრისათვის მზადების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქალაქის შეუფერხებელი წყალმომარაგების უზრუნველყოფამ. დღეისათვის მისი მოსახლეობის უკვე 90 პროცენტი წყალს შეუზღუდავად იღებს, მაშინ როცა ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ეს მაჩვენებელი 44 პროცენტს არ აღემატებოდა. წყლით უზრუნველყოფილია საქვაბეებიც, რომლებიც ყველგან ორმაგ კვებაზეა გადაყვანილი.

(დასასრული მე-3 გვ.).

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის დასკვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 20 ივნისის დადგენილებით შექმნილი საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის დასკვნა.
2. დაისვას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის წინაშე საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასების საკითხი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების საკითხზე წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაციის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს სსრ რეალური სუვერენიტეტის განხორციელების საკითხზე წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია.
2. დაევალოს სამუშაო ჯგუფს შეიმუშაოს წინადადებანი და განსახილველად წარუდგინოს საქართველოს სსრ ახალი მოწვევის უზენაეს საბჭოს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 18 ნოემბერი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 76 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რამაზ მიტროფანეს ძე ლალიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის რ. მ. ლალიძის დამკრძალავი კომისია გ. ა. სანაძის თავმჯდომარეობით.

სოციალისტური იდეა და რევოლუციური გარდაქმნა

(გაგრძელება)

✦ ლენინი: „სოციალიზმი მთელი ჩვენი შეხედულების შეცვლა"

✦ სოციალისტური იდეების ბიუროკრატიული დეფორმაცია

✦ გარდაქმნა და სოციალიზმზე ახალი შეხედულება

სოციალისტური იდეის პირველი პრაქტიკული გამოცდა გახდა ოქტომბრისშემდგომი წლები. დაიწყო საზოგადოების ორგანიზაციის კონკრეტული ფორმების ინტენსიური ძიება. ამას მოწმობს, უწინარესად, ვ. ი. ლენინის შრომები, და პირველ რიგში მისი ცნობილი ნაშრომი „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები". ჩვენში იმ დოგმატური დებულებების გავლენით, რომლებსაც სტალინი ნერგავდა და რომლებსაც მის შემდეგაც დიდხანს ღრმად ჰქონდათ გადგმული ფესვი, ჯეროვნად არ აფასებდნენ ვ. ი. ლენინის ოქტომბრისშემდგომი ნაშრომების საძიებო ხასიათს, ჩქმალავდნენ, თუ როგორ იცვლებოდა მისი შეხედულებანი სოციალიზმის მშენებლობაზე, ვინაიდან ეს ცვლილებები ვითომდა შეიძლებოდა სისუსტედ შეფასებულიყო. სინამდვილეში ლენინური ძიება — ეს არის არა სისუსტის, არამედ ძალის მაჩვენებელი. მოვლენების, ბობოქარი კატაკლიზმების წიაღში ლენინი სწავლობდა ცხოვრებისაგან, ზუსტად ულებდა ალღოს მასების მოთხოვნილებებს, აზოგადებდა ფაქტებს და გამოჰქონდა თეორიული დასკვნები საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებიდან.

ფართოდ დამკვიდრდა ის წარმოდგენაც, ვითომდა ლენინს ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დასრულებული პროგრამა. სინამდვილეში მას ასეთი დასრულებული პროგრამა არ ჰქონია, ცნობილია, რომ რევოლუციის პირველ წლებში უმთავრესი ყურადღება ეთმობოდა შრომის უშუალო დანაწილებას, სავალდებულობას, მკაცრ აღრიცხვასა და კონტროლს — ღონისძიებებს, რომლებიც სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკის ორგანულ ელემენტად იქცა. მაგრამ სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ლენინისათვის ცხადი გახდა: ამ პოლიტიკას ყავლი გაუვიდა. მიიყვანო მასები სოციალიზმთან მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციით გამოწვეულ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, შეუძლებელია, საჭიროა აამოქმედო მატერიალური დაინტერესება და მასთან დაკავშირებული სასაქონლო წარმოებისა და მიმოქცევის ეკონომიკური მექანიზმები. ამის შესაბამისად ახლებურად განისაზღვრა საზოგადოების მოძრაობის ძირითადი მიმართულებანი, რომელთაგან მთავარი იყო გაბედულად გამოგვეცხადებინა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა — პოლიტიკა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა დოგმატურ დებულებებს და პარტიულ გარემოში დამკვიდრებულ საზოგადოებრივ აზრს.

არანაკლებ დრამატულია ასეთი პრობლემაც. ვ. ი. ლენინსა და ბოლშევიკებს ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და მოწყობის პერიოდში იმედი ჰქონდათ, რომ მათ მხარს დაუჭერდა უფრო განვითარებული ქვეყნების პროლეტარიატი, ვინაიდან ესმოდათ, რომ რუსეთს ჯერ არ მიეღწია ეკონომიკური განვითარების იმ დონისათვის, რომელიც აუცილებელი იყო სოციალიზმზე გადასასვლელად. მაგრამ სამოქალაქო ომის დამთავრების მომენტში ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია სხვა ქვეყნებში არ მომხდარა. ნიშნავდა თუ არა ეს, რომ ოქტომბერში არ უნდა აგვეღო ძალაუფლება ხელში ან უარი უნდა გვეთქვა მასზე სამოქალაქო ომის შემდეგ? ლენინი ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს გვაძლევს: ჩვენ უნდა გამოგვეყენებინა პროლეტარიატის ძალაუფლება, რათა რაც შეიძლება მალე შეგვექმნა სოციალიზმზე გადასვლის ეკონომიკური და კულტურული წანამძღვრები, ე. ი. შეგვექმნა თანამედროვე მრეწველობა და განგვეხორციელებინა რევოლუცია კულტურის დარგში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გაგვეკეთებინა ის, რაც უნდა განეხორციელებინათ კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას. ოღონდ გაგვეკეთებინა უკვე საბჭოთა ხელისუფლების პირობებში.

თავისი სიცოცხლის ბოლოს ვ. ი. ლენინმა შექმნა თავისი კოოპერატიული გეგმის პირვანდელი მონახაზები, მჭიდროდ დაუკავშირა კულტურული რევოლუციის იდეა წვრილი მწარმოებლის კოოპერირებას და ცხოვრების ყველა პირობის შეცვლას. ამრიგად, ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა სოციალიზმზე გადასვლის თავისი პროგრამა, რომელიც გამოიწვევდა, როგორც მას ნათლად ესმოდა, „სოციალიზმზე მთელი ჩვენი თვალსაზრისის" შეცვლას.

მისი ოქტომბრისშემდგომი ნაშრომების მთელი ერთობლიობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რა მიმართულებით განიზრახა მან ეს შეცვლა. ამის შესახებ, ალბათ, ყველაზე მკვეთრად მოწმობს სტატია „კოოპერაციის შესახებ", რომელშიც არის მოყვანილი ზემოაღნიშნული სიტყვები. „ერთიანი ფაბრიკის" იდეიდან, რომელსაც ხშირად იმეორებდა 1917-18 წლებში, მუშათა სახელმწიფოს მმართველობის თავისებური მონოპოლიიდან იგი მივიდა იმ იდეამდე, რომ „ცივილიზებულ კოოპერატორთა წყობილება" — ეს არის სოციალიზმის წყობილება.

როგორ განგვეხორციელებინა ყოველივე ეს, რა ორგანიზაციული და სხვაგვარი სოციალური ფორმებით — ამ პრობლემების დამუშავება ვ. ი. ლენინს არ დასცალდა. მან შექმნა მხოლოდ საამისო მონახაზები, მიდგომები. სამწუხაროდ, შემდგომში ისინი უგულებელყვეს ან უხეშად დაამახინჯეს სტალინური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პროცესში.

როგორ შეძლო სტალინმა თავს მოეხვია პარტიისა და მთელი საზოგადოებისათვის თავისი პროგრამა და თავისი მეთოდები? ეს ჩვენი ისტორიის შეფასების საკითხთა საკითხია.

2. სოციალისტური იდეის ბიუროკრატიული დეფორმაციები

ლენინის შემდეგ ახალი საზოგადოების მშენებლობის ფორმებისა და მეთოდების ისტორიულად აუცილებელი ძიება გადაიქცა მკაცრ იდეურ და პოლიტიკურ ბრძოლად. სტალინმა შეძლო მარჯვედ ესარგებლა მასების რევოლუციური მოუთმენლობით, ყოველგვარი მასობრივი მოძრაობისათვის დამახასიათებელი უტოპიური და გამთანაბრებელი ტენდენციებით, ავანგარდის მისწრაფებით — რაც შეიძლება მალე მიეღწია ნანატრი მიზნისათვის. ყოველივე ეს უაღრესად ავიწროვებდა წამოჭრილი პრობლემების, ალტერნატივების შემოქმედებითი განხილვის შესაძლებლობას, იწვევდა უნიფიკაციას, რომელშიც ადგილი აღარ რჩებოდა აზრთა და შეხედულებათა მრავალფეროვნებას მარქსისტული თეორიის საფუძველზე და პარტიული პროგრამის ფარგლებში. სოციალიზმის იდეა სულ უფრო მჭიდროდ უახლოვდებოდა ავტორიტარული მბრძანებლურ-ბიუროკრატიული ადმინისტრაციული სისტემის მოდელს.

ამ პროცესის მეორე შედეგი გახდა სულ უფრო მეტი განსხვავება მარქსიზმის თეორიასა და რეალობას შორის, ჰუმანისტურ იდეალებსა და პრაქტიკას შორის. ბიუროკრატიული, მკაცრად ცენტრალიზებული ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა თავისი კანონებით მოქმედებდა. ხოლო თეორიას უნდა შეესრულებინა გაუკულმართებული იდეოლოგიური ფუნქცია, შეექმნა ამ მოქმედების „სისწორის" ილუზია, გაემართლებინა პრაქტიკა, დაეხატა საზოგადოებრივ ცნობიერებაში სოციალიზმის დასრულებული მოდელი, რომელიც, ვითომდა, შეესაბამებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს.

„დიადი მიზნის" მისაღწევად ამართლებდნენ ყოველგვარ არაადამიანურ საშუალებებს. „პოლიტიკურ მიზანშეწონილებას" ოფიციალურად აყენებდნენ „ფორმალურ კანონიერებაზე" უფრო მაღლა, რაც პოლიტიკას მორალურ საწყისს უსპობდა. ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემა, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ადამიანური ზნეობისა და სამართლიანობის ნორმები და პრინციპები, ცდილობდა განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა და დაჟინებით ნერგავდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში საკაცობრიო ნორმებისაგან განსხვავებულ თანაცხოვრებისა და ქცევის „განსაკუთრებულ" ნორმებს.

ამასთანავე, მთელი დეფორმაციის მიუხედავად, ხალხი თავისი ცნობიერების სიღრმეში ერთგულად ინახავდა სოციალიზმის ჰუმანისტურ გაგებას და, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, ცდილობდა აემოქმედებინა იგი.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ XX ყრილობას, ყრილობაზე იმ მოვლენის გამოაშკარავებას, რომელსაც „პიროვნების კულტი" ეწოდა, სტალინის მხილებასა და მისი მეთოდების დაგმობას. ამან გვაიძულა ახლებურად შეგვეხედა ქვეყნისა და პარტიის მიერ გამოვლილი გზისათვის.

მაგრამ XX ყრილობამ, რომელმაც უკუაგდო და დაგმო სტალინური რეჟიმის შავბნელი მხარეები, მისი უკიდურესობანი, საერთოდ უცვლელად დატოვა თვით ბიუროკრატიული სისტემა. მან მოახერხა გაეძლო, რაშიც დაეხმარა ის ახალი ილუზიაც, რომ საკმარისია აღმოფხვრა სტალინური რეჟიმის უკიდურესობანი — და სოციალიზმის განთავისუფლებული ენერგია ახლო მომავალში შეძლებს მიიყვანოს ჩვენი საზოგადოება კომუნიზმის უმაღლეს ფაზასთან.

საზოგადოების მიერ მიღწეული მდგომარეობის „განვითარებულ სოციალიზმად" შეფასება პრაგმატიზმის ელემენტებს შეიცავდა. მაგრამ აქაც იყო უტოპიზმისა და გაზვიადების ერთობ დიდი წილი და, რაც მთავარია, უცვლელად რჩებოდა იგივე ბიუროკრატიული სისტემა.

სტალინისტურმა გაუკულმართებამ დაგვაკარგვინა მთავარი, რაც იყო სოციალიზმის მარქსისეულ და ლენინისეულ კონცეფციაში ადამიანის, როგორც მიზნის, და არა საშუალების გაგება. თითოეულის თავისუფალი განვითარების, როგორც ყველას თავისუფალი განვითარების იდეის ნაცვლად გაჩნდა წარმოდგენა, რომ ადამიანი, — ეს არის პარტიულ-სახელმწიფო მანქანის „ჭანჭიკი", ხოლო მშრომელთა ორგანიზაციები ამ მანქანის „ამძრავი ღვედები" არიან. შექმნილი მექანიზმი შემდგომშიც ძირითადად უცვლელი დარჩა. უფრო მეტიც, არსებითად ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემა სულ უფრო ძლიერდებოდა, რასაც უაღრესად ნეგატიური შედეგები მოჰქონდა საზოგადოებისათვის, რომელიც ბოლოს და ბოლოს სტაგნაციის მდგომარეობამდე მივიდა და კრიზისის პირას აღმოჩნდა.

ამ წლებს ჩვეულებრივ „უძრაობის პერიოდს" უწოდებენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი დახასიათება დღეს უკვე აღარ არის საკმარისი. ეს იყო ხანა ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებისა, რომელმაც დიდად ავნო სოციალიზმის საქმეს. იმ დროს ჯეროვნად არ აფასებდნენ მეცნიერებასა და ტექნიკაში მიმდინარე გადატრიალების მნიშვნელობას და არ გადადგმით პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით, თუმცა ბევრს ლაპარაკობდნენ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის — თანაც მისი უახლესი ეტაპის — მიღწევებისა და სოციალიზმის უპირატესობების შერწყმის საჭიროებაზე. ამის შედეგად ზოგად-ცივილიზაციური თვალსაზრისით მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან სფეროებში და მიმართულებებით ჩვენ ერთგვარად დავრჩით წარსულ ტექნოლოგიურ ეპოქაში, ხოლო დასავლეთის ქვეყნები გადავიდნენ მეორეში — მაღალი ტექნოლოგიების, მეცნიერებისა და წარმოების პრინციპულად ახლებური კავშირურთიერთობის, ადამიანთა სიცოცხლის უზრუნველყოფის და თვით ყოფის ახალი ფორმების ეპოქაში.

დღეს ბევრნი ცდილობენ ეძებონ ჩვენი თანამედროვე გაჭირვებისა და სიძნელეების ძირი თვითონ სოციალისტურ არჩევანში. არა რევოლუციის გზებში, არამედ მის საწყისში, მის პრინციპებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ასევე უბრუნდება რევოლუციის სათავეებს და პრინციპებს, მაგრამ არა იმისათვის, რომ გააბიაბრუოს „მამათა სიმშაგე", არამედ იმისათვის, რომ სრულად იტვირთოს პასუხისმგებლობა რევოლუციის საქმისათვის, მისი დაპირისპირებისათვის, მიღწევებისა და ვალისათვის. პარტიას, როგორც რევოლუციის ორგანიზატორს, უნდა ახსოვდეს ეს ვალები. უამისოდ შეუძლებელია შემდგომი წინსვლა სოციალიზმის გზით. შეუსრულებელი უნდა შესრულდეს, დაუმთავრებელი უნდა დამთავრდეს...

მარქსისტულმა თეორიამ განჭვრიტა იმის შესაძლებლობა, რომ ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში არაერთგზის მოგვიხდება ყველაფრის თავიდან გადაკეთება.

3. გარდაქმნა და სოციალიზმის ახალი ხედვა

რევოლუციური გარდაქმნა დაიწყო პარტიის, მისი ხელმძღვანელობის ინიციატივით. ამ საფუძველზე ჩვენს პრესაში მას ზოგჯერ აფასებენ როგორც „რევოლუციას ზემოდან", მოჰყავთ სხვადასხვა ისტორიული პარალელები და შეპირისპირება.

მაგრამ, ვფიქრობ, რომ ცნება „რევოლუცია ზემოდან" მიუღებელია, რადგან იგი ყოფს ჩვენს საზოგადოებას ხელმძღვანელ „ზედა ფენებად" და მათი იდეების, მითითებებისა და ბრძანებების შემსრულებელ „ქვედა ფენებად". სტალინისათვის, რომელიც ამ ცნებას იყენებდა კოლექტივიზაციის დახასიათების დროს, იგი ბუნებრივი იყო, რადგან ასახავდა მის წარმოდგენას ხელისუფლების პირამიდის შესახებ, რომლის საფუძველია „ქვედა ფენები", მწვერვალი კი — ხელმძღვანელები. ჩვენთვის ამგვარი წარმოდგენა არის პირი ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემისა, რომელსაც უარვყოფთ ჩვენ, არის სტალინიზმის ანტიდემოკრატიული იდეოლოგიის, ესე იგი არა ახალი, არამედ ძველი აზროვნების გამოხატულება.

გარდაქმნა მთლიანი რევოლუციური პროცესია, რომელიც ხორციელდება დემოკრატიული მეთოდებით, ხალხის მიერ და ხალხისათვის, რომლის მიმართ პარტია გამოდის, როგორც მისი პოლიტიკური ავანგარდი. მის მიერ გამოვლენილი აქტიურობა და ისტორიული ინიციატივა კი მისი ავანგარდული როლის ბუნებრივი გამოხატულებაა. და პარტია არ ახდენს ძიების უფლების მონოპოლიზაციას. ყოველი სასარგებლო ინიციატივა, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, სჭირდება გარდაქმნას, რადგან მისი საარსებო ტონუსი პოლიტიკურად დამოკიდებულია დემოკრატიის განვითარებაზე, რომლის ფუნქცია, კერძოდ, სახალხო ინიციატივის სტიმულირებაა.

დღეს, განსაკუთრებით საჭიროა გავცეთ პასუხი კითხვას სოციალიზმისადმი ახალი მიდგომების, მისი ძირითადი მახასიათებლების ახალი ხედვის შესახებ.

გარდაქმნას რევოლუციის ოდინდელი პრინციპები გადაჰყავს რეალურთა თანრიგში, რადგან წარსულში მეტწილად ისინი მხოლოდ ცხადდებოდა. ამავე დროს ახლა სავსებით გარკვეულად გამოჩნდა, რომ ეს პრინციპები და მათზე დაფუძნებული სოციალისტურობის კრიტერიუმები მოითხოვენ დაკონკრეტებას მსოფლიო სოციალიზმის გამოცდილებისა და კაპიტალისტური ქვეყნების განვითარების პროცესების გათვალისწინებით.

უწინარეს ყოვლისა მათ უნდა მოეხსნას კონფრონტაციულობის, აბსოლუტურის, თანამედროვე სოციალური სისტემების მეტაფიზიკური დაპირისპირების შრე. თავად ცხოვრება, მისი დიალექტიკა, რომლებიც კაცობრიობის წინაშე სვამენ გლობალურ პრობლემებსა და საშიშროებას, მოითხოვენ ხალხთა და სახელმწიფოთა კონფრონტაციიდან თანამშრომლობაზე გადასვლას მათი საზოგადოებრივი წყობილების მიუხედავად.

კონფრონტაციული მიდგომის დაძლევას ხელს უწყობს იმ გარემოების გათვალისწინება, რომ ჩვენ ვართ კაცობრიობის ცივილიზაციის ნაწილი, რომლის დაცვისათვის პასუხს ვაგებთ. მაგრამ კაპიტალიზმისადმი ჩვენი სწორხაზოვანი დაპირისპირების აჟიოტაჟში აშკარად ვერ შევაფასეთ იმ ბევრი რამის მნიშვნელობა, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია საუკუნეთა მანძილზე. ცივილიზაციის ასეთ მიღწევათა რიცხვს განეკუთვნება არა მარტო ზნეობრიობისა და სამართლიანობის ჩვეულებრივი ნორმები, არამედ ფორმალური უფლების პრინციპებიც, ესე იგი ყველას თანასწორობა კანონის წინაშე, პიროვნების უფლებები და თავისუფლებები, სასაქონლო წარმოებისა და ეკვივალენტური გაცვლის პრინციპები, რომლებიც ღირებულების კანონის მოქმედებას ეფუძნებიან. ახლა სულ უფრო გარკვეულად შემოდის საზოგადოებრივ შეგნებაში აზრი, რომ სასაქონლო წარმოება, მმართველობის ეკონომიკური მეთოდები სოციალიზმის განვითარების თანამედროვე დონეზე მისი განუყოფელი ელემენტია.

ჩვენ ახლებურად უნდა შევხედოთ ვ. ი. ლენინის ცნობილ დებულებასაც იმის შესახებ, რომ მონოპოლისტურ კაპიტალიზმად წოდებულ საფეხურსა და სოციალიზმად წოდებულ საფეხურს შორის არავითარი შუალედური „კონსტრუქციები" არ არის. ცხადია, რომ ლენინმა გამოავლინა დღემდე ჩვენ მიერ ბოლომდე შეუცნობელი ამ ფორმაციათა წარმოების ორგანიზაციის ფორმებისა და მისი განსაზოგადოების დონის სიახლოვე, რომლებიც მოწმობენ, რომ უკვე მოქმედებას იწყებს არა წმინდა ფორმაციული, არამედ ზოგად-ცივილიზაციური მექანიზმები. უნდა შეიცვალოს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ეკონომიკური შეჯიბრების შინაარსის გაგება. გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს არა წარმოების რიცხობრივი ზრდა ან ერთ სულ მოსახლეზე პროდუქტების რაოდენობა (თუმცა სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში ეს ამოცანაც არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში), არამედ რესურსების ეკონომია, ტექნოლოგიის დონე, ინფორმაციული უზრუნველყოფა. ჩვენ უნდა შევცვალოთ ეკონომიკური კრიტერიუმები, შევუსაბამოთ ისინი თანამედროვეობას, დღევანდელობის ეკონომიკურ რეალობას. და ეს ფრიად არსებითია ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განსაზღვრისათვის.

მაგალითად, ჩვენ მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ ფოლადის, მინერალური სასუქებისა და ზოგიერთ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების მოცულობით. და რას, სპეციფიკურად „სოციალისტურს" გვმატებს ეს მიღწევა? როგორც ჩანს, რომელიღაც მომენტიდან ეს ტონები, ცალები, მეტრები და ა. შ. ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეტისმეტად უხეში და პრიმიტიული მაჩვენებლები ხდება. ამ პირობებში სოციალისტურობის კრიტერიუმები მეტად უნდა ესადაგებოდეს ადამიანის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. მატერიალურ სიკეთეთა წარმოების დარგში კი უნდა ვიღებდეთ არა კონფრონტაციულ ლოზუნგს „დავეწიოთ და გავუსწროთ", არამედ ეკონომიკური განვითარების მსოფლიო პროცესში უფრო ორგანული ჩართვის ორიენტაციას. ეკონომიკურად მოვიგებთ, თუ კი არ დავუპირისპირდებით სხვებს ამ სფეროში, არამედ ვეცდებით მათთან ერთად გადავწყვიტოთ ჩვენი ეკონომიკური პრობლემებიც.

ცხადია აგრეთვე, რომ კაპიტალიზმის დროსაც და სოციალიზმის დროსაც ხდება პროცესები, რომლებიც მეტად ჰგავს ერთმანეთს თავისი შინაარსით, რადგან ისინი გამოწვეულია საბოლოო ანგარიშით თანამედროვე საწარმოო ძალების განვითარებით, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით. საქმე ეხება, კერძოდ, ინტეგრაციის პროცესებს. რა თქმა უნდა, არ უნდა მივბაძოთ დასავლეთს, მაგრამ ინტეგრაციული პროცესების სიკეთე უნდა გამოვიყენოთ გაცილებით მეტად, ვიდრე ეს ჯერჯერობით კეთდება მსოფლიო სოციალისტური სისტემის ფარგლებში.

რა მიგვაჩნია სოციალისტურობის არსად და კრიტერიუმის შინაარსად, რა ღირებულებათა სათუთად შენარჩუნებასა და ახალი წახნაგებით გამდიდრებას ვაპირებთ?

სოციალიზმის იდეა, ჩვენი დღევანდელი გაგებით, — ეს, უწინარეს ყოვლისა, არის თავისუფლების იდეა. სოციალური რევოლუციის მთავარ მოტივს — მუშათა კლასის განთავისუფლებას — მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები განუყრელად უკავშირებდნენ „ადამიანთა მთელი მოდგმის" განთავისუფლებას ყოველგვარი ფორმის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. (იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 19, გვ. 246, რუს.). ამასთან საქმე ეხებოდა თავისუფლებას, რომელიც ეფუძნება ადამიანის გონებას, ჰუმანისტურ წარმოდგენებს სხვა ადამიანთა შორის მცხოვრები პიროვნების უფლებებზე, იმ თავისუფლებაზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ანარქიასთან, ანგარებით და დამანგრეველ თვითნებობასთან. სწორედ ამიტომაც არის თავისუფლების სოციალისტური გაგება ორგანულად დაკავშირებული ერთობის, კოლექტიურობის იდეებთან. მაგრამ არა ყაზარმულ კოლექტიურობასთან, რომელიც ახდენს პიროვნების ნიველირებას, არამედ ისეთ კოლექტიურობასთან, რომელსაც მარქსი და ენგელსი უწოდებდნენ ნამდვილ კოლექტიურობას, რომლის პირობებში „ინდივიდები იძენენ თავისუფლებას თავის ასოციაციაში და მისი მეშვეობით" (იქვე, ტ. 3, გვ. 75). რუს.).

სამწუხაროდ, სოციალისტური იდეის სწორედ ეს მხარე დამახინჯდა ყველაზე მეტად. ყალბად გაგებული კოლექტივიზმის იდეისათვის უგულებელყოფდნენ ადამიანთა ინდივიდუალობას, ამუხრუჭებდნენ პიროვნების განვითარებას, ინდივიდუალურთან შედარებით ზოგადის პრიორიტეტის საბაბით მკვეთრად ვიწროვდებოდა თავისუფლების გონივრული საზღვრები, არსი ეცლებოდა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ჰუმანურ ბუნებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალისტურ იდეალს აკლდებოდა მთავარი — თვით ადამიანი, მისი მოთხოვნილებანი, ინტერესები, მისი ცოცხალი ცხოვრება.

რევოლუციის მოხდენისთანავე იშვა ცნობილი პოეტური ფორმულა: „სოციალიზმი თავისუფლად შეკრებილ ადამიანთა თავისუფალი შრომაა". ცხოვრებამ, პრაქტიკამ დააკონკრეტეს ეს ფორმულა: „არა უშუალოდ ენთუზიაზმზე, არამედ დიადი რევოლუციით შობილი ენთუზიაზმის დახმარებით, პირად ინტერესზე, პირად დაინტერესებაზე, „სამეურნეო ანგარიშზე" — ასეთი პრინციპები უნდა დასდებოდა საფუძვლად, ლენინის მიხედვით, სოციალისტური მშენებლობის პროცესს. ეს ჭეშმარიტებაც დიდხანს იყო მივიწყებული ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სისტემის ბატონობის პირობებში.

ასევე მახინჯად, პრიმიტიულად იყო განმარტებული სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი პრინციპიც — საქმით წარმოების განსაზოგადოების პრინციპიც. სწორედ საქმე შეიცვალა ფორმით, დეკლარაციით, მოჩვენებითი კეთილდღეობით, რომელიც ემყარებოდა დიქტატსა და ადმინისტრირებას, ზოგჯერ კი ძალადობასაც, როგორც სოფლის დაჩქარებული კოლექტივიზაციის დროს. დღეს საზოგადოებრივ საკუთრებას უნდა შევხედოთ უფრო კონკრეტულად, გავითვალისწინოთ პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილებაც. საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება იმას, რომ არ ამოვწუროთ განსაზოგადოება გასახელმწიფოებრიობით, რაზეც გვაფრთხილებდა ლენინი და რაც შემდგომში უგულებელყოფილი იყო.

ჩვენ უარს არ ვამბობთ და არც ვიტყვით განსაზოგადოების, საზოგადოებრივი საკუთრების პრიორიტეტის თვით იდეაზე, რომელიც სოციალისტური იდეალის ორგანული შემადგენელი ნაწილია. გაერთიანებული და განთავისუფლებული შრომა იყო და არის სოციალიზმის არსებითი ნიშანი. ამავე დროს უარვყოფთ ფორმალურ განსაზოგადოებას, პრაქტიკულად ვამკვიდრებთ საკუთრების მრავალფეროვან ფორმებს, რომლებსაც არ ამოუწურავთ თავიანთი პოტენციალი, შეუძლიათ წინ წასწიონ სოციალისტური ეკონომიკა ეფექტიანობის გადიდების გზით.

სოციალისტური იდეალის ძალა ისიც არის, რომ შრომის ეფექტიანობის, ნაყოფიერების პრობლემები განუყოფელია მასში ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობისაგან. აქ არის სოციალისტური იდეის სიმძიმის ცენტრი, მისი სპეციფიკური განსხვავება. და სწორედ ეს არის სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების ძალა და არა სისუსტე, როგორც ზოგჯერ ფიქრობენ, თუ ჰუმანიზმს არ ავურევთ სხვისი მოიმედეობის წახალისებაში, სამართლიანობას კი ტოტალურ გათანაბრებაში, როგორიც გნებავთ დიფერენციაციის უქონლობაში.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივ აზრში ჯერჯერობით საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული უხეში გამათანაბრებელი წარმოდგენები, რომელსაც მარქსი აკრიტიკებდა. დღესაც ბევრი ექცევა ამ განწყობილებათა ტყვეობაში. სოციალიზმის სამართლიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომის მიხედვით განაწილების პრობლემასთან, რომელიც თავის მხრივ ვერ გადაიჭრება, თუ ღრმად არ გავაანალიზეთ საერთოდ შრომის ნაყოფიერების, მარტივი და რთული შრომის რეალური თანაფარდობის, საზოგადოების მიმდინარე და გრძელვადიანი ინტერესების შეხამების პრობლემები. ეს დღევანდელობის და, ამავე დროს სტრატეგიული პერსპექტივის ამოცანაა. ეს სოციალიზმის სწორედ ის წინააღმდეგობაა, რომელიც მისი განვითარების ერთერთ ყველაზე მძლავრ მამოძრავებელ ძალად გვევლინება.

სოციალიზმის არსებითი ნიშანია ნამდვილი სახალხო ხელისუფლების დამკვიდრება. ეს ჩვენი ისტორიის მთელი წლების მანძილზე არავის არ უარუყვია. მასების ჩაბმა მმართველობაში მუდამ ითვლებოდა სოციალისტური დემოკრატიის უმნიშვნელოვანეს ნიშნად, რომლის განვითარება, ლენინის მიხედვით, ის უნდა იყოს, რომ მშრომელთათვის დემოკრატიიდან კულტურის პროგრესის, მასების შეგნების დონის ამაღლების კვალობაზე უნდა გადაიქცეს დემოკრატიად, რომელსაც თვით მშრომელები ახორციელებენ. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს გამოცხადება საერთო-სახალხო სახელმწიფოდ ორმოცდაათიან-სამოციანი წლების მიჯნაზე, როგორც ჩანს, უნდა ყოფილიყო ამ გადასვლის ამსახველი ნიშანსვეტი. სამწუხაროდ, თეორიულ ნოვაციებს რამდენიმე ათწლეულის მანძილზე თან არ სდევდა რაიმე ცვლილებანი პოლიტიკურ მექანიზმებში. ამიტომ, როგორც საკუთრებითი ურთიერთობა, სოციალისტური დემოკრატიაც უნდა განვიხილოთ არა აბსტრაქტულად, არამედ მისი ძირითადი პრინციპების ხორცშესხმის მექანიზმებთან ერთიანობით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა, სამართლებრივი სახელმწიფო. ამ პრინციპების თანამიმდევრული განხორციელება ჩვენი პოლიტიკური სისტემის არა მარტო დემოკრატიული, არამედ ნამდვილად სოციალისტური განვითარების გარანტიაა. ეს არის წარსულის ერთ-ერთი გაკვეთილი და ამოცანა, რომელსაც გვიკარნახებს ცხოვრება, გარდაქმნის რეალობა.

სოციალიზმი გვევლინება ზოგადდემოკრატიული და ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა და ღირებულებების მატარებლად და დამცველად. ამასთან დაკავშირებით უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს საკითხი იმ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტულობის პირობებში კლასობრივი მიდგომის არსის შესახებ, რომლებსაც თანამედროვე ეპოქა ამკვიდრებს. პროლეტარული მოძრაობის ჩამოყალიბებისთანავე მარქსი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლა ნიშნავს ბრძოლას არა კლასობრივი პრივილეგიებისა და მონოპოლიებისათვის, არამედ თანასწორი უფლებებისა და მოვალეობების და ყოველგვარი კლასობრივი ბატონობის მოსპობისათვის" (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 16. გვ. 12. რუს.). ამით კლასობრივი საწყისის ფაქტორი ემთხვეოდა თავისუფლებისა და მშვიდობის გზით ცივილიზაციის პროგრესის წარმართვას.

მაგრამ ამავე დროს იოლად ვერ გავალთ, თუ ნამდვილად კლასობრივად არ გავაანალიზეთ ცხოვრების რეალობანი, საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობა, მისი მამოძრავებელი ძალები და წინააღმდეგობანი. მხოლოდ ჩვენი საზოგადოების კლასთა და ჯგუფთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების გულდასმითი გათვალისწინების პირობებში შევძლებთ ავაშენოთ რეალისტური პოლიტიკა გარდაქმნის მიმდინარეობის დროსაც, რომელმაც უნდა დაძლიოს სოციალიზმის დეფორმაციები და იგი თვისებრივად ახალ დონეზე გაიყვანოს.

IV. სოციალიზმის ახალი სახე

ახლა ჩვენ ვუახლოვდებით ძირითად საკითხს, თავდაპირველად რომ დავსვით. საით მივდივართ? რა აზრი უნდა ჩავაქსოვოთ საზოგადოების ახალი თვისებრიობის, სოციალიზმის ახალი სახის ცნებაში? და აქ მნიშვნელობა აქვს თვით მიდგომას ამ საკითხისადმი, მისი ანალიზის მეთოდოლოგიას.

კ. მარქსი თავის დროზე წერდა, რომ კომუნიზმი იდეალი კი არ არის, არამედ თვით საზოგადოების რეალური წინსვლაა, რომელიც აღმოფხვრის მის უწინდელ მდგომარეობას. მაგრამ, ამ იდეის მიუხედავად, ჩვენთან მთელ ძალისხმევას ვახმარდით მომავლის რაღაც იდეალური „მოდელის" აღწერას, რომელსაც მოარგებდნენ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს. აბსტრაქტულ სქემას თავს ახვევდნენ სინამდვილეს არა მარტო თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც. მაგრამ ცხოვრება ხშირად მიდიოდა სხვა გზით, ობიექტურად ჩამოყალიბებული პირობების შესაბამისად. ხოლო მისწრაფებას, რომ ეიძულებინათ იგი მზა სქემით ემოძრავა, მოჰყვებოდა დოგმატიზმი, იდეოლოგიური სისასტიკე, კარჩაკეტილობა, თავის მოტყუება, ძალმომრეობა ადამიანებისა და ისტორიის მიმართ.

ხალხი დაიღალა მოლოდინით. ძალზე მრავლად იყო უსაფუძვლო მოწოდებები და დაპირებები, რათა შეგვძლებოდა უყოყმანოდ გერწმუნა. ადამიანის ინტერესებზე მრავლად წარმოთქვამდნენ სიტყვებს, მაგრამ ისინი ნაკლებად იყო განმტკიცებული მატერიალური რესურსებით, რეალური საქმეებით. შედეგად, გახდა რა დიადი და მძლავრი სახელმწიფო, ქვეყანამ ვერ შეუქმნა ადამიანთა მასას ყოველგვარი ცივილიზებული სახელმწიფოსათვის ბუნებრივი ცხოვრების პირობები. ცალმხრივი განვითარების ეს პარადოქსი უნდა აღმოფხვრას გარდაქმნამ საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის შექმნის მსვლელობაში, რომელიც ორიენტირებული იქნება სოციალიზმის ჰუმანისტურ ღირებულებებზე. ვქმნით რა ადამიანთა ახლანდელი თაობების სრულფასოვანი ცხოვრების პირობებს, ჩვენ უზრუნველვყოფთ აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მომავალს, სოციალიზმის მომავალს.

საკითხის ასეთნაირი დაყენებისას, წარმოდგენები სოციალიზმის ახალ საზოგადოებაზე ბუნებრივად ყალიბდება დღევანდელი ადამიანების ძირეული მოთხოვნილებებისა და ინტერესების გამოვლენისა და თეორიული გააზრების პროცესში. ამ საფუძველზე შეიძლება შევიმუშაოთ დღევანდელი სინამდვილის ადეკვატური, მაგრამ ამავე დროს პერსპექტივისათვის გათვალისწინებული მიზნები და პროგრამები.

სოციალიზმის ახალი სახე — ეს არის მისი ადამიანური სახე, რაც სავსებით შეესაბამება მარქსის აზრს, რომლისთვისაც მომავლის საზოგადოება რეალური ჰუმანიზმია, რომლის პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელია. და რაკი მისი შექმნა გარდაქმნის მთავარი მიზანია, სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ვაშენებთ **ჰუმანურ სოციალიზმს.**

რა თქმა უნდა, ჩვენი ამოცანა ის კი არ არის, რომ უბრალოდ გამოვაცხადოთ ეს ცნება. საჭიროა პრაქტიკულად განვაახლოთ სოციალიზმი და შევქმნათ ისეთი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებიც ხდება საშუალება, ხოლო ადამიანი — მიზანი, რომლებიც საქმით უზრუნველყოფენ ადამიანისაკენ მთელი სოციალური სისტემის შემობრუნებას. საზოგადოებრივ სტრუქტურათა ეს ჰუმანიზაცია მარტო კაცთმოყვარეობის თუ ზნეობრივი იმპერატივების მოთხოვნას როდი შეესაბამება. იგი ამჟამად ჩვენი საზოგადოებისათვის ხდება როგორც ეკონომიკური, სოციალური აუცილებლობა, ისე მისი განვითარების მოთხოვნილებაც.

გარდაქმნამ გვიჩვენა, რომ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეში საქმიანობის პასუხისმგებლობის სუბიექტად ადამიანის რეალური ჩაბმა საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ ადამიანის გაუცხოება, საერთო და პირადი ინტერესების ერთმანეთისაგან მოწყვეტა, გავზარდოთ პიროვნების აქტიურობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მეორე მხრივ, საზოგადოებრივ სტრუქტურათა ჰუმანიზაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ გაიზარდა ინვესტიციები ადამიანში. ჩვენ ბოლომდე უნდა შევიგნოთ, რომ საზოგადოება მით უფრო ინტენსიურად განვითარდება, რაც უფრო განვითარებული, კომპეტენტური, კეთილსინდისიერი იქნება შრომაში თვით ადამიანი. ამიტომ დაბანდება ადამიანში კაპიტალის ყველაზე ხელსაყრელი გამოყენებაა. და ამ თვალსაზრისით ჩვენ სერიოზულად ჩამოვრჩით განვითარებულ სახელმწიფოებს, სადაც სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ადამიანის მომსახურების სხვა სფეროების დაფინანსების წილი ეროვნულ შემოსავალში თავისი ხვედრითი წილით გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენთან. აქ საჭიროა ძირფესვიანი შემობრუნება, არა სიტყვით, არამედ საქმით ამ სფეროების დაფინანსების ნარჩენობითი პრინციპზე უარის თქმა, რამეთუ მხოლოდ ასეთი მიდგომა შეესაბამება სოციალიზმის პირველსაწყის ღირებულებებს.

ასე გვიკარნახა გარდაქმნამ და, სოციალიზმის პერსპექტივას, ახალ სახეს რომ განვსაზღვრავთ, ბოლომდე უნდა განვახორციელოთ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ადამიანური განზომილების პრიორიტეტულობის პრინციპი.

ეკონომიკის დარგში სოციალიზმზე ჩვენი თვალსაზრისის შეცვლამ იმ გაგებამდე მიგვიყვანა, რომ თანამედროვე საწარმოო ძალების პროგრესისა და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის საჭიროა სოციალისტური საკუთრების მრავალფეროვანი ფორმების განვითარება, მისი რეალიზაციის ახალი ეკონომიკური მექანიზმების შექმნა, რომლებიც ეფექტიანად აწყობენ და სტიმულს აძლევენ ადამიანთა შრომით საქმიანობას.

ამ ცვლილებების დროს ჩვენ არ გვჭირდება უარი ვთქვათ ცენტრალიზმისა და დიდი მასშტაბით დაგეგმვის საყოველთაოდ ცნობილ უპირატესობებზე. ჩვენ უარს ვამბობთ ბიუროკრატიულ ცენტრალიზმზე დემოკრატიულის სასარგებლოდ და ამით — ფორმალურ, არსებითად უსუსურ ცენტრალიზმზე — რეალური, ქმედითი ცენტრალიზმის სასარგებლოდ. უწყებათა ფსევდოცენტრალიზმმა ადგილი უნდა დაუთმოს მმართველობის საიმედო მექანიზმებს მშრომელთა კოლექტივების ნებაყოფლობითი ასოციაციების დახმარებით.

გარდაქმნით ჩამოყალიბებული ეკონომიკური მექანიზმი სათანადო ეფექტს მოგვცემს, თუ მშრომელი ადამიანი გახდება საკუთრების რეალური სუბიექტი, მუშა — შრომის საშუალებათა მესაკუთრე, გლეხი — მიწის ბატონ-პატრონი, ხოლო თვით ამ მექანიზმში წარმოდგენილი იქნება არა მარტო საზოგადოებრივი ინტერესები, არამედ — მათთან ჰარმონიული — მშრომელის საკუთარი ინტერესები, რათა ადამიანებს შეეძლოთ დაინახონ თავიანთი შრომის შედეგების კავშირი შრომისათვის გასამრჯელოსთან.

ამ ცვლილების პროცესში, უეჭველია, მოხდება ეკონომიკის ღრმა სტრუქტურული ხელახალი ორიენტაცია, ჯერ ერთი, თავდაცვითი დარგების საწარმოთა კონვერსიის ხარჯზე, რისკენაც გზას ხსნიან საერთაშორისო უშიშროების, განიარაღების, უბირთვო მსოფლიოზე გადასვლის პროცესები და, მეორე, წარმოებული პროდუქციის საერთო მოცულობაში მოხმარების საშუალებათა წილის მნიშვნელოვანი ზრდის ხარჯზე.

არის სტრუქტურული გარდაქმნის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი, და აქ ჩვენი ამოცანები აღმოჩნდება იმ ძიებათა კალაპოტში, რომლებსაც ეწევა მთელი კაცობრიობა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ცხადი გახდა ინდუსტრიალიზაციის ძველი მოდელის უპერსპექტივობა, რომელიც ნთქავს უზარმაზარ ბუნებრივ რესურსებს და იხმარს ნედლეულის, მასალების, ენერგიაშემცველების სულ უფრო მზარდ მასებს. მეურნეობის ასეთი მფლანგველური სტრუქტურა შეიძლებოდა განვითარებულიყო გარკვეული დროის მანძილზე მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში. დიდხანს და მთელი კაცობრიობისათვის იგი არ ვარგა — ამის ძალა უბრალოდ არ შესწევს ბუნებას.

სამწუხაროდ, სოციალიზმმა ვერ დაიკავა სტრუქტურული გარდაქმნის ლიდერის პოზიცია — ამ როლში დღეს გამოდიან ინდუსტრიული თვალსაზრისით განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები. ჩვენ ვხარობდით, რომ თავიდან ავიცილეთ კაპიტალისტურ სამყაროში 70-იანი წლების ენერგეტიკულ კრიზისთან დაკავშირებული სოციალური ძვრები და მეტისმეტად გვიან შევამჩნიეთ, რომ სოციალურ ძვრებს იქ მოჰყვა მაღალი ტექნოლოგიების, ენერგიისა და ნედლეულის ეკონომიის ბაზაზე ენერგიული სტრუქტურული გარდაქმნა. ახლა ჩვენ ვზღავთ ზოზინისა და თავდაჯერებულობისათვის, ვზღავთ კერძოდ სოციალური ხარვეზებითაც. ცხოვრება გვავალებს დავადასტუროთ სტრუქტურული გარდაქმნის ასპარეზზე ჩვენი წყობილების უპირატესობანი.

ეს ამოცანა ნაკლები მასშტაბისა და სირთულის არ არის, ვიდრე უმოკლეს ვადებში განხორციელებული ინდუსტრიალიზაცია ანდა ომის წლებში გამარჯვების ინდუსტრიის ორგანიზაცია. ეს ამოცანა არც ნაკლები მნიშვნელობისაა, რადგან საქმე ეხება საარსებო ინტერესებს, ქვეყნის ბედს.

გარდაქმნა გაიმარჯვებს, თუ იგი გაიმარჯვებს ეკონომიკურად, ესე იგი უზრუნველყოფილი იქნება ეკონომიკური სტაბილურობა, შრომის ნაყოფიერების ჯეროვანი ზრდა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარება. სწორედ ამ თავისებურებებით უნდა ხასიათდებოდეს სოციალიზმის ახალი ეკონომიკური სახე.

პოლიტიკური თვალსაზრისით სოციალიზმის განახლება იწვევს სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მექანიზმების ფორმირების გზით ნამდვილი სახალხო ხელისუფლების უზრუნველყოფას.

ჩვენში ჩვეულებრივ, ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევდა თვით „დემოკრატიული სოციალიზმის" ტერმინიც კი, რომელიც [illegible] იყო სოციალისტურ მოძრაობაში [illegible] ხაზის გამოხატულებად. ახლა ჩვენში ლაპარაკია არა მარტო სახელმწიფო სისტემის, არამედ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციაზე, დემოკრატიზაციაზე, რომელიც მასების სოციალური აქტიურობისა და თვითმოქმედების ზრდის მძლავრი სტიმულია და ქმნის მისი გამოვლენის პირობებს.

დემოკრატიის განვითარებასთან ორგანულად არის დაკავშირებული სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების იდეა, რომელიც ნიშნავს კანონის უზენაესობას, თითოეული პიროვნებისათვის სოციალური და პოლიტიკური უფლება-თავისუფლებების ფართო სპექტრის მინიჭებას დიდ პასუხისმგებლობასთან და მტკიცე დისციპლინასთან შეხამების, მმართველობის ეფექტიანად მომუშავე მექანიზმების შექმნას.

დემოკრატია და თავისუფლება ადამიანთა ცივილიზაციის დიდი ღირებულებებია, რომლებსაც ჩვენ მემკვიდრეობად ვიღებთ და ვამდიდრებთ სოციალისტური შინაარსით. რეალური და ფორმალური დემოკრატიის ჩვენში გავრცელებულ დაპირისპირებას, რა თქმა უნდა, აქვს გარკვეული თეორიული შინაარსი. ჩვენ მხარს ვუჭერთ რეალურ დემოკრატიას, მაგრამ ამ საფუძველზე დემოკრატიის ფორმალური პრინციპების უკუგდების წინააღმდეგი ვართ, რადგან სამართლებრივი სახელმწიფო აუცილებლად შეიცავს ამ პრინციპებს, ხოლო ჩვენი საკუთარი გამოცდილება გვიკარნახებს, რაოდენ საჭიროა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა სამართლებრივი პრინციპის ზუსტი დაცვა. ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ვაშენებთ არა მარტო ჰუმანურ, არამედ **დემოკრატიულ სოციალიზმს.**

სახელმწიფოს და სხვა პოლიტიკური ინსტიტუტების განვითარებაში წამყვანი ტენდენციაა ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის (მისი ისეთი უპირატესობებით, როგორიცაა უშუალო დემოკრატიის შესაძლებლობათა გამოყენება, მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობა პირდაპირ ნება-სურვილის გამოხატვის მრავალფეროვანი არხების მეშვეობით საზოგადოების ყველა საქმის მართვაში) იდეისა და პრაქტიკის შეერთება წარმომადგენლობითი პარლამენტური დემოკრატიის მრავალწლიანი გამოცდილებით ნაცად მექანიზმებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ საშემსრულებლო და საკანონმდებლო ხელისუფლების ზუსტ გამიჯვნას, სასამართლოს დამოუკიდებლობას.

ხალხის სოციალისტური თვითმმართველობა გულისხმობს სახელმწიფო და სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ სტრუქტურებს, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს შორის „გავლენის სფეროების" გონივრულ გამიჯვნასაც და ამავე დროს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შიგნით თვითმმართველობის საწყისების „ამოზრდას", რასაც ხელს შეუწყობს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მთელი სისტემის განვითარება.

ახალ საზოგადოებრივ ორგანიზმში განსაკუთრებული როლი განეკუთვნება კომუნისტურ პარტიას, რომელიც მოწოდებულია იყოს საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდი. მის საქმიანობაზე უდიდესწილად, თუ არა გადამწყვეტწილად დამოკიდებულია გარდაქმნის ბედი, და მაშასადამე — საზოგადოების თვისებრივად ახალი მდგომარეობის, სოციალიზმის ახალი სახის მიღწევა.

გარდაქმნამ პარტია დააყენა ორერთიანი ამოცანის წინაშე: განსაზღვროს თავისი ადგილი პოლიტიკური სისტემის კარდინალური დემოკრატიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურების, სახალხო მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშსა და მმართველობის ეკონომიკურ მეთოდებზე გადასვლის პირობებში, ერთი მხრივ, და განახორციელოს გარდაქმნა თვით პარტიაში — მეორე მხრივ. ყოველივე ეს ახალი და რთული პრობლემებია. მასების დამოუკიდებლობის, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესების განვითარება ერთპარტიული სისტემის ფარგლებში პარტიის კეთილშობილური და ძნელი მისიაა, და ის, თუ როგორ შევასრულებთ მას, განსაზღვრავს ბევრ რამეს.

დღეს, თავისუფლდება რა ოპერატიულ-განმკარგულებითი, მმართველობითი ფუნქციებისაგან, პარტია იქცევა პოლიტიკური და იდეური პლატფორმების შემუშავების ცენტრად, რომლებიც რეკომენდებულია საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის მისი არჩევითი ორგანოების სახით. პარტიის საქმეა გაიაზროს მიმდინარე პროცესები, განსაზღვროს და შემოგვთავაზოს პოლიტიკა, განახორციელოს პროგნოსტიკული საქმიანობა თეორიული მუშაობის გაფართოების გზით მარქსისტულ-ლენინური პრინციპებისა და ღირებულებების, ჩვენი სინამდვილის რეალიების ანალიზის, მსოფლიო გამოცდილების ბაზაზე. საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებზე თავის გავლენას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ახდენს მასებში მრავალმხრივი პრაქტიკული მუშაობით და მოქმედებს პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების მეშვეობით. პარტიის საქმეა სათავეში ჩაუდგეს მმართველობის ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგ ბრძოლის ლენინის ნაანდერძევი ამოცანის გადაწყვეტას და თანამიმდევრულად აწარმოოს ეს ბრძოლა გარდაქმნის ყველა ეტაპზე.

პარტიის ფუნქციათა ასეთი შეცვლა ახლებურად განსაზღვრავს მის, როგორც ხალხის იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი ავანგარდის, ადგილსაც პოლიტიკურ სისტემაში. ორგანიზაციული თვალსაზრისით პარტიამ, რომელიც არ

(დასასრული მე-3 გვ.)

სოციალისტური იდეა და რევოლუციური გარდაქმნა

(დასასრული)

„გასცემს ბრძანებებს" სახელმწიფო და საზოგადოებრივ სტრუქტურებს, უნდა შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა და იმოქმედოს კონსტიტუციის, სხვა საბჭოთა კანონების ფარგლებში. ახლანდელ რთულ ეტაპზე საზოგადოების კონსოლიდაციის, გარდაქმნის ძნელი ამოცანების გადაწყვეტისათვის მთელი მისი ჯანსაღი ძალების კონცენტრაციის ინტერესები გვკარნახობს ერთპარტიული სისტემის შენარჩუნების მიზანშეწონილობას. მაგრამ ამასთან პარტია ხელს შეუწყობს პლურალიზმის განვითარებას, საზოგადოებაში აზრთა შეჯიბრებას, საჯაროობის გაფართოებას დემოკრატიისა და ხალხის ინტერესებისათვის. სოციალიზმის განახლებისათვის ბრძოლაში პარტია ვერ დაუთმობს ინიციატივას ვერც პოპულისტურ დემაგოგიას, ვერც ნაციონალისტურ თუ შოვინისტურ მიმდინარეობებს, ვერც ჯგუფური ინტერესების სტიქიას.

პარტიაც დაადგა საკუთარი გარდაქმნის გზას. იცვლება მისი შინაგანი სტრუქტურა, მუშაობის სტილი და მეთოდები. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით გარდაქმნა პარტიაში უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე მთლიანად საზოგადოებაში, რაც არსებითს სიძნელეებს ქმნის მისი ავანგარდული როლის უზრუნველყოფაში. პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი დაადგეს რადიკალური განახლების გზას, რათა საქმით გახდეს დემოკრატიზაციის მაგალითი, სადაც დაიხვეწება თვითმმართველობის ახალი ფორმები და პროცედურები, განვითარდება კოლექტივიზმისა და ამხანაგობის პრინციპები, განხორციელდება ორგანიზაციის წევრთა უფლებები შეგნებული დისციპლინის ბაზაზე. ახალ პირობებს უნდა შევუსაბამოთ პარტიული აპარატის სტრუქტურა და ფუნქციები, გარდავქმნათ პარტიის ყველა რგოლის საქმიანობა, დავძლიოთ კონსერვატიზმი და დოგმატიზმი.

სულ უფრო ღრმა და საფუძვლიანი ხდება სოციალიზმის განახლების პროცესი **სოციალურ სფეროში.** ფართო გაგებით ეს არის თვით ადამიანის საზოგადოებრივი წარმოების სფერო მისი ინტერესებითა და ურთიერთობის სხვადასხვა ფორმით მათი გამოვლინებითურთ. იგი შეიცავს ყოფაცხოვრებასაც, მომსახურების სფეროსაც, განათლებასაც, ჯანმრთელობის დაცვასაც, სოციალურ უზრუნველყოფასაც, დასვენების სფეროსაც, ანუ მთელი სოციალური გარდაქმნების ერთობლიობას, რომლებიც მიზნად ისახავენ ადამიანის მოთხოვნილებათა მომსახურებას. უმთავრესი ყურადღება მიაპყრო რა მატერიალური წარმოების ზერელედ გაგებულ მართვას, მბრძანებლურმა სისტემამ სოციალური სფერო გააჩანაგა და ნაწილობრივად გადაგვარების გზამდეც კი მიიყვანა. ახლა ჩვენ უშუალოდ ვგრძნობთ, რომ სოციალური სფეროსადმი დამოკიდებულება ასევე გახდა უძრაობის ერთ-ერთი ფაქტორი, სოციალურ დაძაბულობათა ზრდის მიზეზი, რომლის ნაყოფსაც დღეს ვიმკით.

თუმცა ახლა სოციალური პროგრამები გარდაქმნის პოლიტიკის ცენტრშია, ჩვენ ეს-ეს არის ვიწყებთ მათ განხორციელებას ადამიანის მოთხოვნილებებისა და სოციალიზმის პრინციპების შესაბამისად. ჯერ კიდევ დასაძლევი გვაქვს სახელმწიფოსადმი ცალკეულ ჯგუფთა მუქთახორული დამოკიდებულება, ადამიანებისათვის სოციალისტური ცხოვრების წესის შესახებ ბიუროკრატიული წარმოდგენების თავს მოხვევის პრაქტიკა. აქ უნდა განხორციელდეს თვისებრივი გარდაქმნები, და ისინი ორგანულად ერწყმის ჩვენს წარმოდგენებს სოციალისტური საზოგადოების აწმყოსა და მერმისის შესახებ, გარდაქმნის გზებით მისი რევოლუციური განახლების შესახებ.

გარდაქმნა ახლებურად აყენებს **საზოგადოების სოციალური სტრუქტურის დინამიკის** საკითხს. აშკარაა, რომ სოციალიზმის განვითარების კვალობაზე საზოგადოების მზარდი სოციალური ერთგვაროვნების შესახებ ადრინდელი წარმოდგენა ცალმხრივია. საკუთრების ერთიანი სახელმწიფო ფორმის ნაცვლად მრავალგვარი სოციალისტური ფორმების წარმოქმნა ნიშნავს, რომ, ერთ სფეროში სოციალური ერთგვაროვნების ზრდას თან სდევს დიფერენციაციის გაძლიერება მეორე სფეროში.

ახლანდელი და მომავალი სოციალისტური საზოგადოების შესახებ ჩვენს წარმოდგენებში, როგორც ჩანს, უფრო საფუძვლიანად უნდა გავითვალისწინოთ გლეხის შრომის, როგორც მიწაზე შრომის სპეციფიკა, რომელსაც საქმე აქვს ცოცხალ ბუნებასთან და არასოდეს არ გახდება სრულად ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობა. ამიტომ ქალაქსა და სოფელს შორის შრომის ძველებური საზოგადოებრივი დანაწილების დაძლევის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის განსხვავების აღმოფხვრის პროცესი არც ისე უბრალო, სწორხაზოვანი და საახლომომავლოა, როგორც ეს წინათ გვეჩვენებოდა.

ახლა პრაქტიკულად საქმე ეხება არა სოფლის ლიკვიდაციას, არამედ მის აღორძინებას, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების თვალსაზრისით ქალაქთან მის დაახლოებას, გზების ფართო მშენებლობასა და სატრანსპორტო საშუალებების განვითარებას, რაც სოფლის მცხოვრებს გახდის მობილურს და მისცემს საშუალებას მუდმივი კავშირი იქონიოს ქალაქთან. უნდა შევისწავლოთ ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის ის პროცესები, რომლებიც ხდება პროგრესულად მოქმედი ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენით.

გარდაქმნამ, მართლაც რომ, წამოატივტივა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროს უამრავი პრობლემა და წინააღმდეგობა. ეს პრობლემები დღეს როდი წამოიჭრა. ისინი ჩაისახა მაშინ, როცა ეროვნულ საწყისს ახშობდნენ, ოფიციალურად გადაწყვეტილად აცხადებდნენ „ეროვნულ საკითხს". ამ პრობლემებმა უმეტეს დაძაბულობას მიაღწია მაშინ, როცა შესაძლებელი იყო მთელი ხალხების დასჯა არარსებული ბრალისათვის. ახლანდელი დემოკრატიისა და საჯაროობის პირობებში ეს კონფლიქტები მხოლოდ გამოიკვეთა, რასაც სალად უნდა შევხედოთ, ვინაიდან, რეალური პრობლემები თუ არ გამოვავლინეთ, ვერ გადავწყვეტთ მათ. საჭიროა მხოლოდ იმას მივაღწიოთ, რომ საკუთარი სუვერენიტეტის, ეკონომიკისა და კულტურის დაცვის მიზნით ეროვნულმა მოძრაობებმა ზიანი არ მიაყენოს სხვა ერებს, მთელ ჩვენს კავშირს, გარდაქმნას.

ხშირად ერთაშორისი წინააღმდეგობების ნიღბით თავს იჩენს მოვლენები, რომლებსაც ეროვნული კი არა, საერთოდ სოციალური ფესვები აქვს. ეს გახლავთ უწყებრიობა, რომელიც ართულებს ეკონომიკის განვითარებას ყველა რეგიონში; ბიუროკრატიზმი, რომელიც არღვევს ადამიანთა ელემენტარულ უფლებებს; გარდაქმნისადმი კორუმპირებული ელემენტების წინააღმდეგობა. მაგრამ მტანჯველი და რთული კოლიზიები, რომლებიც ზოგჯერ ექსტრემისტების მიზეზით ტრაგიკულ ხასიათსაც კი იძენენ, იმას ნიშნავს, რომ ამ დარგში საჭიროა არსებითი ცვლილებები სოციალიზმის ჭეშმარიტ ღირებულებათა სულისკვეთებით.

ეროვნული პოლიტიკის შესახებ თავის პლატფორმაში საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც ემყარებოდა ეროვნულისა და ინტერნაციონალურის დიალექტიკის თანამედროვე გაგებას, სცადა მაქსიმალურად აესახა ყოველივე ღირებული, რაც გამოითქვა საზოგადოებრივი დისკუსიების დროს, წარმოედგინა საბჭოთა ფედერაციის ახალი სახე, რომელიც ორგანულად შეუხამებს ეროვნული სუვერენიტეტისა და განვითარების ინტერესებს ქვეყნის ხალხების კავშირის საერთო ინტერესებს. მის ფარგლებში ეროვნებათშორისი ურთიერთობა არ შეიძლება არ აიგოს დემოკრატიისა და ხალხთა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემისა და თავისუფალი განვითარების საწყისებზე.

ალბათ სოციალიზმის განახლებისათვის გამიზნული ყველაზე რადიკალური ცვლილებები უნდა მოხდეს **იდეოლოგიის, კულტურისა და განათლების დარგში.** გარდაქმნა ფართო ასპარეზს უსახავს თვით ადამიანისა და იმ საზოგადოების სულიერ განვითარებას, რომელშიც იგი ცხოვრობს, ფსიქოლოგიური განწყობის შეცვლას. ეს გახლავთ საზოგადოების თანამედროვე ამოცანების შესაბამისად შრომისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაც, პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის დონის ამაღლებაც, საზოგადოების ზნეობრივი განწმენდა-გაჯანსაღებაც.

მომავლის შესახებ ჩვენს წარმოდგენებში დიდი ადგილი განეკუთვნება ინტელიგენციის, მისი სხვადასხვა რაზმის, მასობრივი ინტელიგენტური პროფესიების წარმომადგენლების (მასწავლებლების, ექიმების, ინჟინრების, მეცნიერი მუშაკების) როლს, მის შემოქმედებითს საქმიანობას კულტურისა და მეცნიერების დარგში. გასული ათწლეულების მანძილზე დაშვებული დეფორმაციების გამოსასწორებლად უაღრესად საჭიროა უწინარეს ყოვლისა გადაჭრით გავზარდოთ ინტელექტუალური შრომის, ცოდნის, მაღალი პროფესიონალიზმის საზოგადოებრივი შეფასება.

სოციალიზმს არ ექნება არავითარი ინტელექტუალური და ზნეობრივი ხიბლი კაცობრიობის თვალში, თუ მსოფლიო მეცნიერებისა და კულტურის მოწინავე რაზმების კუდში იჩანჩალებს. მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. სოციალიზმს საერთოდ არ ექნება არავითარი პერსპექტივა, თუ არ შევქმნით პირობებს თითოეული პიროვნებისა და მთელი ხალხის შემოქმედებითი, სულიერი ძალების რეალიზაციისათვის, საქმიანობის ყველა სფეროში ნიჭიერი, უნარიანი და გერგილიანი ადამიანების გამოვლინებისათვის. ნაკლები იყოს ყოველგვარი უწყებრივი დაწესებულება და კანტორა, ცენტრალიზაცია და იერარქიული სამსახურებრივი პირამიდა, მეტი — თანამოაზრეთა ჭეშმარიტად შემოქმედებითი, სამეცნიერო გაერთიანებები. ჩვენ არ გვაქვს უფლება კვლავაც ვფლანგოთ ცინცხალი ორიგინალური იდეები, გამოგონებები, აღმოჩენები. ჩვენი სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენად უნდა იქცეს სკოლებისა და მიმართულებების შეჯიბრება, საერთაშორისო კონტაქტები. მხოლოდ ასე, გამოცდილების მსოფლიო გაზიარების სისტემაში ჩაბმით შევძლებთ თვითონაც გავმდიდრდეთ და მსოფლიო განვითარებაშიც შევიტანოთ წვლილი.

მაგრამ საუკეთესო „უცხოეთის უნივერსიტეტებიც" ვერაფერს გვარგებს, თუ უახლოეს წლებში ვერ შევქმენით ყველგან — სოფლადაც და ქალაქადაც — თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აღჭურვილი სკოლები, რომლებიც კვალიფიციური მასწავლებლებით იქნება დაკომპლექტებული. თუ არ გვექნა ასეთი სკოლები, არ გვეყოლება მასწავლებლები, რომლებიც კვლავ ღირსეულ საზოგადოებრივ მდგომარეობას დაიკავებენ, რისგანაც ჯერ ასე შორს ვიმყოფებით, ხალხის უმშვენიერესი სულიერი პოტენციალი შეიძლება ხორცშეუსხმელი დაგვრჩეს. მომავალი ცოდნის, კულტურის, ინტელექტისაა.

ამრიგად, სოციალიზმი, რომლისკენაც მივდივართ გარდაქმნის გზით, ეს არის საზოგადოება, რომელსაც საფუძვლად უდევს ეფექტიანი ეკონომიკა, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის უმაღლესი მიღწევები, ჰუმანიზებული საზოგადოებრივი სტრუქტურები, რომელიც ახორციელებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაციას და აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობებს უქმნის ადამიანებს.

ამასთან სოციალიზმის განახლების ბევრი პროცესი არსებითად ზოგადცივილიზაციური პროცესებია, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით სხვა სოციალურ ნიადაგზეც მიმდინარეობს. კაცობრიობის ცხოვრებაში სულ უფრო დიდ ადგილს იკავებენ ყველასთვის საერთო გლობალური პრობლემები. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თავისებურებების შენარჩუნებით სხვადასხვა სოციალური სისტემა ვითარდება ისეთ ფარგლებში, როცა სულ უფრო მეტად იკვეთება ისეთ საკაცობრიო ღირებულებათა პრიორიტეტი, როგორებიც არის მშვიდობა, უშიშროება, თავისუფლება, ყოველი ხალხის შესაძლებლობა თავად განსაზღვროს საკუთარი ბედი და სოციალიზმის სამყარო მიემართება მთელი კაცობრიობისათვის საერთო მიზნებისაკენ ერთიანი ცივილიზაციის [illegible]ზე. ამასთან უარს [illegible] ვამბობთ თავის ღირებულებებსა და უპირატესობებზე, [illegible] კიდევ უფრო [illegible] მათ რევოლუციური გარდაქმნის, გონიერებისა და ჰუმანიზმის პრინციპებზე ნამდვილად ადამიანური საზოგადოების აშენების გზით.

• • •

ასე წარმოგვიდგება მათი გაგების ახლანდელ ეტაპზე ის პრობლემები, რომლებიც ეხება გარდაქმნისა და თანამედროვე მსოფლიოში სოციალიზმის განახლების მიზნებს, შეესაბამება სოციალისტური იდეის არსის ადეკვატური რეალიზაციის ამოცანას. ამასთან — და ამას კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი — ჩვენ არ მივსდევთ რაღაც გარედან თავსმოხვეულ, აბსტრაქტულად ჩამოყალიბებულ დოგმას, არამედ ვაანალიზებთ და ვაზოგადებთ იმას, რაც ყალიბდება თავად ცხოვრებაში, როგორც მილიონების შემოქმედების შედეგი. ამიტომ ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცით, მაგრამ იმედი გვაქვს გავიგებთ ჩვენი საზოგადოების ცხოვრების პროცესების ანალიზის დროს, რომელსაც დაუდგა გარდაქმნის ისტორიულად გარდამავალი პერიოდი. ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი საზოგადოებათმცოდნე მეცნიერთა, შემოქმედი ინტელიგენციის აქტიურ ჩაბმას ქვეყნისათვის ამ დიდმნიშვნელოვან სამუშაოში. ვფიქრობ, ყველა საფუძველი გვაქვს ვიქონიოთ მისი წარმატების იმედი, იმის იმედი, რომ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ განვსაზღვროთ სოციალიზმის ახალი სახის ძირითადი კონტურები და ამით სკკპ მომავალი XXVIII ყრილობისათვის მივიღოთ საპერსპექტივო გათვალისწინებული თეორიულად დასაბუთებული სამოქმედო პროგრამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვეკიდოთ საქმეს პასუხისმგებლობით

(დასასრული)

განხორციელდა 114 საქვაბე პუნქტის კაპიტალური რემონტი, შეიცვალა 32 კილომეტრი მაგისტრალური თბოტრასები. მაგრამ ნაკლოვანებანიც მრავლადაა, რამაც, ბუნებრივია, არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს საქალაქო მეურნეობის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

მუშაობას შედეგი ამშვენებს. თუ ამ თვალსაზრისით შევაფასებთ ახსნა-განმარტებებს, რომლებიც ბიუროს სხდომაზე გამოთქვეს საწარმოო გაერთიანება „საქენერგოს" მთავარმა ინჟინერმა რ. არველაძემ, ვაჭრობის მინისტრმა ვ. ჯინჯიხაძემ, საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრმა ბ. სარალიძემ, სათბობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ო. კერესელიძემ, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ქუმბურიძემ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსმა ვ. ბლაჟიევსკიმ, რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის" თავმჯდომარემ ი. ხარატიშვილმა, შედეგები არცთუ დიდია. სწორედ ამიტომ ბიურომ საკმაოდ მწვავედ აღნიშნა, რომ ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებლად პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიერ მიღებული კონკრეტული ზომების მიუხედავად, ამ დარგის საერთო ვითარება კვლავ არასახარბიელოა.

პარტიული კონტროლის კომისიის ცნობიდან: სათბობის სახელმწიფო კომიტეტმა ვერ უზრუნველყო სარეზერვო სათბობის შემოტანა; ზამთრისათვის მზადების წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური; თბილისის თბომეურნეობის სამმართველოს თბოსადგურების შერჩევითმა შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ისინი მთლიანად არ არიან მზად გათბობის სეზონისათვის; „საქმრეწვსამოქალაქმშენი" და „საქაგრომშენი" ვერ ასრულებენ თბომარაგების ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გეგმებს; საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და რაიონში სარემონტო სამუშაოთა შესრულების გრაფიკს; უკიდურესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აგროსამრეწველო კომპლექსში, რადგან საშენი მასალების მომარაგებაში ნაკლოვანებების გამო ბევრ მეურნეობაში არ შესრულებულა სარემონტო სამუშაოები ფერმებში, ეს კი საფრთხეს უქმნის პირუტყვის ნორმალურ გამოზამთრებას; ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი არ ახორციელებს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნეობისა და განიავების აღკვეთის მტკიცე ღონისძიებებს...

აი, რატომ არის სავსებით სამართლიანი ბიუროს წევრთა აზრი და დასკვნები იმის შესახებ, რომ კომუნისტები მთავრობაში და უწყებათა ხელმძღვანელები ზოგჯერ მოდუნებული არიან ციფრებით, სინამდვილეში კი სიტუაცია სავალალო, განსაკუთრებულია. ეს შეეხება, უწინარეს ყოვლისა, იმათ, ვინც უშუალოდ არის დაკავშირებული ნავთობპროდუქტებით რესპუბლიკის მომარაგებასთან. მათთვის არაერთგზის წაუყენებიათ სერიოზული პრეტენზიები, მაგრამ მათი რეაგირება გამოიხატება ეპიზოდური მივლინებებით მოსკოვში, გროზნოსა თუ დონეცკში. არ იგრძნობა ამ პრობლემის გადაჭრისათვის ბრძოლის განწყობა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ სათბობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაკები უპრინციპოდ ეკიდებიან დაკისრებულ საქმეს. ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ ისინი ელიან მათ მაგივრად როდის გადაწყვეტს საკითხს ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა. როგორც ჩანს, მთავრობამ, პირადად ამხანაგმა ვ. ვადაჭკორიამ — ეს აზრი გაისმა სხდომაზე — საკითხი მათი სამსახურებრივი პასუხისმგებლობის შესახებ უნდა შეიტანონ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმში.

ხალხის წინაშე თავისი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ „საქენერგოს" ხელმძღვანელებმა, რათა თავიდან ავიცილოთ ელექტრომომარაგებაში პრობლემები. სხვათა შორის, ამ პრობლემის გადაჭრას გვთავაზობდნენ ოთხშაბათსა და ხუთშაბათს დასვენების დღეების გადატანის გზით. მიღებული და გამოქვეყნებული იყო კიდეც შესაბამისი გადაწყვეტილებაც, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, — ნაჩქარევი, რადგან საკითხი არ ყოფილა შესწავლილი დეტალურად, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით. ჩვენ ასეთი გზით ვერ ვივლით. უნდა გამოვძებნოთ სხვა გადაწყვეტები და ამაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა მოსახლეობამ. გავიხსენოთ, თუნდაც, ერთობლივი ექსპერიმენტი, რომელიც ახლახან სახტელერადიომ და საწარმოო გაერთიანება „საქენერგომ" მოაწყვეს.

დაგმობის ღირსია ის სიმშვიდეც, რომლითაც ილაპარაკეს მოსახლეობის მომარაგებისა და ვაჭრობის დარგში მდგომარეობის შესახებ. რიგითი მშრომელისათვის არაფერს არ ნიშნავს საქონლის ფონდების მაჩვენებლები და მისი შემოზიდვის ციფრები, თუ ეს საქონელი დახლზე არ დევს. დეფიციტი ჩვენში ისედაც საკმარისადაა. ამ ბოლო დროს დეფიციტური გახდა მარილი, ასანთი, ნავთი, ახლა კი ძმარიც. და ეს ჩვენს მევენახეობის რესპუბლიკაში?! ზამთრის პირას კი დეფიციტი ორმაგად ქმნის მძიმე შედეგების საფრთხეს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ სფეროშიც. და ამისათვის პასუხისმგებელნი არიან კონკრეტული მუშაკები, კომუნისტები: ამხანაგები ვ. ჯინჯიხაძე, რ. კონცელიძე, ო. პელქაძე, პირდაპირ ითქვა ბიუროს სხდომაზე.

დიახ, ჩვენ სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით, რომ საჭიროა ცვლილებანი და, პირველ რიგში, თვით პარტიაში, კომუნისტების, განსაკუთრებით ხელმძღვანელების, თითოეული ჩვენგანის შეგნებასა და მოქმედებაში ახლა ძირითადი მოთხოვნაა პირადი პასუხისმგებლობა, აქედან კი მომკითხველობაც, პარტიული მკაცრი, ამხანაგური მოჰკითხველობა. ბუნებრივია განხილვის შედეგიც: არავისთვის დაუვალებიათ რაიმე აშენონ ან სადმე დაამთავრონ რემონტი, შეიტანონ ესა თუ ის პროდუქტი და საქონელი, „უზრუნველყონ", „მიაღწიონ", „გააძლიერონ", „გააუმჯობესონ" და ა. შ.

პასუხისმგებლობა და კიდევ ერთხელ პასუხისმგებლობა! პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე! აი, ამ განხილვის შედეგი და იმის საჭირო პირობა, რომ რაც შეიძლება ნაკლები გაჭირვებითა და სიძნელეებით გადავიტანოთ ზამთარი.

დღევანდელობის საარსებო ამოცანებს შორის არის დემოგრაფიული პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული მოსახლეობის მიგრაცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ამ პროცესების რეგულირების სისტემების შემუშავებას. ამჯერად, თეთრი წყაროს რაიონის მაგალითით სხდომის მონაწილენი კვლავ დარწმუნდნენ, რომ ეს პრობლემა აქტუალურია რესპუბლიკის მრავალი სხვა, თუ ყველა არა, რეგიონისთვისაც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავას გამოსვლიდან:

— ეს უმწვავესი სოციალური და ეროვნული პრობლემაა. მუშავდება შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა, მაგრამ მდგომარეობის გაუმჯობესება მოითხოვს პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანოების, მთელი ხალხის ძალისხმევას. ასეთ საკითხებს სისტემატურად უნდა განიხილავდნენ არა მარტო ცენტრალურ კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში, არამედ სხვა რესპუბლიკურ ორგანოებშიც და ადგილებზე.

პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის მეორე მდივანმა ჯემალ წიკლაურმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ივანე მეგულაშვილმა ზუსტი კომპეტენტური ახსნა-განმარტება მისცეს ამ საკითხზე. უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გააკეთეს რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, გარდაქმნა არსებითად შეეხო სოციალურ ინფრასტრუქტურას, რომლის არასრულყოფილება უარყოფით გავლენას ახდენს დემოგრაფიულ სიტუაციაზე.

იმ გარემოებამ, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებს და ექსტენსიურ გზას ადგა სახალხო მეურნეობის დარგების განვითარება, განაპირობა რთული მიგრაციული პროცესები. თითქმის მთლიანად დაცარიელდა 30 ქართული სოფელი. ამის შედეგად 1970-1979 წლებში რაიონის მოსახლეობა ათასით და მეტად შემცირდა. მართალია, 1989 წლის აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რიცხვი რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ ამ ზრდაში ძირითადი როლი შეასრულეს სტიქიური უბედურების შედეგად აქ გადმოსახლებულმა სვანეთისა და მთიანი აჭარის მცხოვრებლებმა.

რაიონში არახელსაყრელი დემოგრაფიული სიტუაციის მიზეზები მრავლად არის. ადგილობრივ ხელმძღვანელობას არ ჰქონია და ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია ზუსტი მიგრაციული პოლიტიკა. ამასთანავე დასაქმების დაბალი დონე, სოფლად საყოფაცხოვრებო მოუწყობლობა აიძულებს მოსახლეობის ნაწილს სოფლიდან გადასახლდეს რაიონულ ცენტრში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, მის ფარგლებს გარეთ. თანაც, წასულთა შორის, უმრავლესობა, როგორც წესი, ახალგაზრდა მამაკაცები არიან, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსახლეობის ასაკობრივ შემადგენლობაზე. საკმარისია ითქვას, რომ 60 და მეტ წელს მიღწეული მოქალაქენი რაიონში შეადგენენ 16,8 პროცენტს. ეს დიდად აღემატება მოსახლეობის დაბერების მიღებულ მაჩვენებლებს. ანალოგიური მონაცემების გათვალისწინებით, უახლოეს წლებში რაიონში მოსალოდნელია დაბერებულ მოქალაქეთა ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც მკვეთრად დააქვეითებს 2000 წლისათვის მოსახლეობის გამრავლების დონეს.

მიგრაციული პროცესების შემცირებას ვერაფრით ვერ უწყობს ხელს ვერც რაიონის ეკონომიკის განვითარების დონე. კარდინალურ გაუმჯობესებას საჭიროებს სოფლად მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობები, რაიონში აკლიათ საცხოვრებელი სახლები. იგრძნობა სასმელი წყლის ნაკლებობა. ცუდად არის განვითარებული ბუნებრივი გაზით მოსახლეობის მომარაგების ქსელი. სერიოზული პრეტენზიები აქვს მოსახლეობას სანიტარიული დასუფთავების სამსახურისადმი, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, სავაჭრო, სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი. ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი რთულ, მრავალპლანიან კვანძად შეიკრა. მის გასახსნელად საჭიროა კომპლექსური მიდგომა; საფუძვლიანი მეცნიერული კვლევა, მომწიფებული საკითხების დაუყოვნებლივ გადაწყვეტა. ასეთი საკითხები კი არცთუ ცოტაა. სასოფლო გზებით დაწყებული და, სამწუხაროდ, ჩვეულებრივად ქცეული არამეორეხარისხოვანი მნიშვნელობის მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებით დამთავრებული. ეს აზრი გაისმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგის ა. ვ. სულაბერიძის გამოსვლაში, რომელიც საკითხის შესწავლაში მონაწილეობდა.

სხდომაზე ითქვა, რომ საჭიროა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ იმ სამინისტროების, საწარმოების, ორგანიზაციების შესაძლებლობანი, რომლებსაც საბაღე-საბოსტნე ნაკვეთები აქვთ. გადაჭრის პროცესშია ფერმერთა და გლეხთა მეურნეობების განვითარების, ახალგაზრდა ოჯახებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის საკითხები.

განხილვის დასასრულს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება საქართველოს კომპარტიის ეროვნული განვითარების კონცეფციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ამიტომ ბიუროზე ამ საკითხის განხილვა სავსებით კანონზომიერია, მაგრამ ეს არაფერს არ მოგვცემს, თუ სიტყვიდან არ გადავედით საქმეზე, რათა საქართველოს ყველა რაიონში თანამიმდევრულად საგნობრივად, ეროვნული ინტერესების შესაბამისად წყდებოდეს კონკრეტული პრობლემები. საჭიროა სისტემატურად ვისმენდეთ ყველა დონეზე რესპუბლიკური ორგანოების, ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს იმის შესახებ, თუ რა კეთდება ამ ეროვნული პრობლემის გადასაჭრელად. ამ საქმეში გამოჩენილი ყოველგვარი უპასუხისმგებლობა მკაცრად უნდა შეფასდეს. რაც შეეხება თეთრი წყაროს რაიონს, ჩვენ ვერ შევურიგდებით იმას, რომ თბილისის მიდამოებში დედაქალაქის უშუალო სიახლოვეს, სადაც თბილისელი მშრომელებისათვის გამოყოფილია ექვსი ათასზე მეტი საბაღე ნაკვეთი, ცარიელდებოდეს ქართული სოფლები.

გარდაქმნა წარმოაჩენს იმ პარტბილეთიანი კაცის, მით უმეტეს ხელმძღვანელის ნამდვილ სახეს, თუ რამდენადაც პასუხისმგებელია იგი მისი ბედისათვის.

ახლა არ არის საჭირო განსაკუთრებული ვაჟკაცობა იმისათვის, რომ გამოავლინო მწვავე ნაკლოვანებანი. გაცილებით ძნელია მათი დაძლევა.

ეს აზრი მუდამ იგრძნობოდა ბიუროს სხდომაზე, განსაკუთრებით ცხადად გამოვლინდა იგი სკკპ წევრის, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ვ. ბლაჟიევსკის ანგარიშის განხილვისას იმ ღონისძიებათა რეალიზაციის შესახებ, რომელთა მიზანია გზის მუშაობის გაუმჯობესება.

ვინ არ იცის, რომ ამიერკავკასიის მაგისტრალზე მდგომარეობა კვლავ მოუგვარებელია: თავს იჩენს სერიოზული შეფერხებები მის მუშაობაში, რომელთა მთავარი მიზეზია არაორგანიზებულობა ადგილებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო თვითკრიტიკულობა ვერ გამოიჩინა მისმა უფროსმა. არადა, ის, რომ მთელ რიგ შემთხვევებში სწორედ რკინიგზის ხელმძღვანელობა ვერ აფასებს ობიექტურად შექმნილ ვითარებას, უარყოფით გავლენას ახდენს საექსპლოატაციო მუშაობის სრულყოფაზე, მოძრაობის უსაფრთხოების გაძლიერებაზე, დარგის ტექნიკურ განახლებაზე, მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. არ არის სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის ზუსტი კოორდინაცია დარგის კარდინალური პრობლემების გადაჭრაში, აკლია სიმტკიცე და პრინციპულობა უძრაობის გამოვლინებების დაძლევაში. სათანადო ყურადღება არ ექცევა და კონტროლი არ ეწევა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას. გასაუმჯობესებელია თბილისის და სამტრედიის განყოფილებების, დიდი საკვანძო სადგურების, სამმართველოს წამყვანი სამსახურების ურთიერთმოქმედება. ბევრი არაფერი კეთდება მეურნეობრიობის ახალ პირობებზე დარგის გადაყვანისათვის. ამავე დროს, იმის ნაცვლად, რომ გაძლიერდეს მოთხოვნილობა საგზაო მეურნეობათა ხელმძღვანელებისადმი, პრინციპულად და კომპეტენტურად განიხილონ ავარიების გამომწვევი მიზეზები, რეალურად გაზარდონ პასუხისმგებლობა მოძრაობის უსაფრთხოებისადმი, კვლავ მოქმედებს შემთხვევათა „ქაღალდზე" შეფასების დრომოჭმული სტერეოტიპი.

მომთხოვნელი სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებაც, რომ რკინიგზის ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო განეხორციელებინა სოციალური სფეროს განვითარების არსებული შესაძლებლობანი, განსაკუთრებით რკინიგზელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში.

ამას განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გუმბარიძემ. სოციალური პირობები მხოლოდ კარგი სასადილოები როდია. ეს არის რკინიგზელთა მატერიალური მდგომარეობაც, ბინებით, სურსათ-სანოვაგით მათი უზრუნველყოფაც, ეს არის ადამიანების განწყობილებაც, ყოველდღიური ყურადღება მათ მიმართ, მათი საჭიროებების მიმართ და სოციალური სამართლიანობა.

გზის ხელმძღვანელობა აქ უფრო თვითკრიტიკული უნდა ყოფილიყო. იგი ბევრს არაფერს აკეთებს ადამიანებისათვის საარსებო მნიშვნელობის პრობლემების გადაჭრის მიზნით.

როგორც სხდომის დროს აღინიშნა, სერიოზულ საყვედურს იწვევს დისციპლინის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის უწყებრივ ობიექტებში ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად განხორციელებულ ღონისძიებათა სუსტი შედეგი, შრომისა და დასვენების რეჟიმის მიმართ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვისადმი კონტროლის შესუსტება. მომწიფებული სოციალური საკითხების გადაწყვეტაში რადიკალური ცვლილებების უქონლობამ მკვეთრად გააუარესა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი კოლექტივებში და უბიძგა მათ პროტესტის გამოხატვის ისეთი ფორმისაკენ, როგორიც არის გაფიცვები ზოგიერთ საწარმოში.

გზის უფროსის ანგარიშში ბევრი იყო დაპირება, რომ სრულყოფდნენ მაგისტრალის ფუნქციონირებას, გააუმჯობესებდნენ რკინიგზელთა შრომის, ყოფისა და დასვენების პირობებს.

— პატივცემულო ვიქტორ, თქვენ ბევრ რამეს შეჰპირდით სოხუმის სალოკომოტივო დეპოს რკინიგზელებს, — თქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გივი ანჩაბაძემ, როცა რკინიგზის უფროსს მიმართა. —დანაპირები აუცილებლად უნდა შეასრულოთ, თორემ დაკარგავთ ნდობას, ხალხი აღარ დაგიჯერებთ.

— რა მისცა ამიერკავკასიის რკინიგზას იმან, რომ მის უფროსად დანიშნეს ამხანაგი ვ. ბლაჟიევსკი? — დასვა კითხვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული და საკადრო მუშაობის განყოფილების გამგემ ნუგზარ საჯაიამ. — პირდაპირ ვთქვათ, ჯერჯერობით არაფერი განსაკუთრებული. მარტო მისი მაღალი პროფესიონალიზმი ვერ შველის საქმეს. შეიძლება ბევრი და კარგი გეგმა ჰქონდეს კაცს, მაგრამ მთავარი ხომ საქმეა. ხალხი დაღალა დაპირებებმა. პატივცემულმა ვიქტორმა საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ ძირფესვიანად შეძლებს ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაობის გარდაქმნას.

ჯერჯერობით კი, როგორც განხილვამ ცხადყო, შეინიშნება მხოლოდ ცალკეული პოზიტიური სიმპტომები. მაგრამ ეს ხომ საქმეს არ წყვეტს. წელს ჩვენმა რკინიგზამ ვერც ერთი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით ვერ შეასრულა გეგმა. ამავე დროს, დარგობრივი პროფკავშირის კომიტეტი, სამმართველოს პარტიული კომიტეტი პრაქტიკულად უმოქმედოდ არიან. ამხანაგმა ბლაჟიევსკიმ არსებითად უნდა გააძლიეროს გზის ყველა სამსახურისა და ქვეგანაყოფის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, საფუძვლიანად გარდაქმნას თავისი მუშაობის სტილი. სხვათა შორის, ეს ეხება ჩვენს სხვა სამეურნეო ხელმძღვანელებსაც, რომლებიც ფეხს ვერ უწყობენ დღევანდელ მოთხოვნებს.

შეაჯამა რა ანგარიშის განხილვის შედეგები, გივი გუმბარიძემ მწვავედ დასვა ნაკლოვანებებისათვის, სერიოზული ხარვეზებისა და ჩავარდნებისათვის რკინიგზის უფროსის პასუხისმგებლობის საკითხი. მან აღნიშნა, რომ ვ. ბლაჟიევსკისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა ბიუროზე გამოეთქვა კონკრეტული მოსაზრებანი თავისი თანაშემწეების, რკინიგზის სამმართველოს პარტიული კომიტეტის მუშაობის სტილისა და მეთოდების შესახებ. მან კი, სამწუხაროდ, არ წარმოადგინა იმის პროგრამა, თუ როგორ უნდა გამოსწორდეს ვითარება. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობას აშკარად აკლია პასუხისმგებლობის გრძნობა და პოლიტიკური ალღო. ექსტრემალურ სიტუაციებში იგი ზედმეტ სიმშვიდეს, ხშირად კი უმწეობას იჩენს. გზის მრავალათასიანი კოლექტივი ცუდად იცნობს თავის ხელმძღვანელებს, რომლებიც იშვიათად ხვდებიან მშრომელებს. ყოველივე ამას კი შედეგად მოსდევს დისციპლინის დარღვევები, ავარიების რიცხვის ზრდა. ხელმძღვანელობის ავტორიტეტი მისსავე ხელთ არის: საჭიროა მხოლოდ აკეთოს საქმე, გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც აღელვებს რკინიგზელებს, მთელ რესპუბლიკას.

მიღებულ დადგენილებაში ცენტრალური კომიტეტის ბიურომ არასაკმარისად მიიჩნია სკკპ წევრის ბლაჟიევსკის მუშაობა ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობის საქმეში და გააფრთხილა იგი, რომ უნდა განახორციელოს მტკიცე, გამიზნული ღონისძიებები, რათა გადაჭრას რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობის ინტენსიფიკაციასთან და სრულყოფასთან დაკავშირებული პრობლემების მთელი კომპლექსი. მას, გზის კომუნისტ ხელმძღვანელებს კონკრეტულად დაევალათ გააუმჯობესონ მუშაობის სტილი და მეთოდები.

• • •

აღნიშნულ საკითხთა გარდა, ბიურომ განიხილა სხვა საკითხებიც. კერძოდ, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, 30-40-იან წლებში და 50-იანი წლების დამდეგს რეპრესიებით დაზარალებულ პირთა დიდი ჯგუფის პარტიული რეაბილიტაციის შესახებ. ბიურომ პარტიულ კომისიას დაავალა მოამზადოს საფუძვლიანი მასალა იმის შესახებ, თუ რა მუშაობა წარმოებს რეაბილიტაციისათვის, და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით გააცნოს იგი რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომიდან რეპორტაჟს უძღვებოდნენ საქინფორმის კორესპონდენტები.

ე. მაყაშვილი,
თ. ბრიგალაშვილი,
გ. ედიბერიძე.

უცხოეთში

საქდესი იუწყება
28 ნოემბერი

● იაპონია-სსრ კავშირი

სავაჭრო - ეკონომიკური კონსულტაციები

ტოკიო. აქ დაიწყო სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის სამთავრობათშორისო კონსულტაციების მეოთხე რაუნდი. ორდღიანი მუშაობის დროს შეხვედრის მონაწილენი განიხილავენ 1986-1990 წლებში საქონელბრუნვისა და გადასახდელების შესახებ ამჟამად მოქმედი ორმხრივი შეთანხმების შესრულების მიმდინარეობას, აგრეთვე შეუდგებიან მორიგ ხუთწლიან ვადაში თანამშრომლობის პროგრამის ძირითად მიმართულებათა განხილვას.

როგორც მოელიან, ახლანდელ შეხვედრაზე დიდი ყურადღება დაეთმობა საბჭოთა კავშირის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გარდაქმნის საკითხებს და ამასთან დაკავშირებით შექმნილ ორ მეზობელ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

● პაკისტანი

ბრუნდებიან სამშობლოში

პეშავარი. ავღანეთის შეიარაღებული ოპოზიციის წარმომადგენლებმა საბჭოთა მხარეს გადასცეს მოჯაჰედების მიერ დატყვევებული ორი სამხედრო მოსამსახურე ანდრეი ლოპუხი და ვალერი პროკოპჩუკი.

გადაცემის ცერემონიას ესწრებოდნენ სსრ კავშირის ელჩი პაკისტანში ვ. იაკუნინი, აგრეთვე პაკისტანში საერთაშორისო წითელი ჯვრის დელეგაციის მეთაური ანდრე კოლომბი, საზოგადოებრივი კომიტეტის „იმედის" დელეგაცია, განთავისუფლებული ჯარისკაცების დედები.

● ავსტრია

200 რეგიონის მონაწილეობით

ვენა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა, საერთოევროპული ინტეგრაცია, რეგიონთაშორისი თანამშრომლობის განვითარება-გაფართოების საკითხები ევროპის რეგიონების ასამბლეის მეხამე სესიის ყურადღების ცენტრშია, რომელიც ვენის ჰოფბურგის სასახლეში გაიხსნა.

რეგიონებად იგულისხმება დიდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, რომლებსაც, კერძოდ, აქვთ ხელისუფლების საკუთარი არჩევითი ორგანოები: მაგალითად, ფედერალური მხარეები, ოლქები, მოკავშირე რესპუბლიკები. შეხვედრაში მონაწილეობენ ევროპის თითქმის 200 რეგიონის მთავრობათა დელეგაციები. მეთვალყურეებად პირველად ესწრებიან მთელი რიგი სოციალისტური ქვეყნების წარმოგზავნილნი. საბჭოთა კავშირი წარმოდგენილია რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს დელეგაციებით.

სესიაზე დაიწყო აზრთა გაზიარება. ბევრი რეგიონის წარმომადგენელთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ დღეს ევროპის წინაშე დგას ჭეშმარიტად ისტორიული ამოცანა. გადავიდნენ კონფრონტაციის, უნდობლობისა და შიშის ეტაპიდან ახალი ტიპის თანამშრომლობაზე, ჰუმანიზმის, თანასწორობის, დემოკრატიის იდეებით გამსჭვალულ იდეალებზე, ევროპის საერთო სახლის მშენებლობაზე.

ევროპის რეგიონების ასამბლეა შეიქმნა 1985 წელს. ამჟამად მასში შედის 12 ქვეყნის 109 დასავლეთევროპული რეგიონი.

● ბელგია

გადაეცა განსახილველად

ბრიუსელი. „საერთო ბაზრის" შტაბ-ბინაში დამთავრდა ამა წლის ივლისში დაწყებული მოლაპარაკება სსრ კავშირსა და ევროპის გაერთიანებათა შორის ვაჭრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების პროექტის შემუშავების საკითხზე. დელეგაციებს შორის შეთანხმებული დოკუმენტის ტექსტი გამომდინარეობს ჰელსინკის საბოლოო აქტისა და სხვა დოკუმენტების, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ევროპის გაერთიანებათა შორის ოფიციალური ურთიერთობის დამყარების შესახებ ერთობლივი დეკლარაციის დებულებებიდან. პროექტი განსახილველად გადაეცემა საბჭოთა კავშირისა და ევროპის გაერთიანებათა კომპეტენტურ ორგანოებს.

● პოლონეთი-გდრ

განუცხადეს პროტესტი

ვარშავა. როგორც პოლონეთის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალურმა დირექტორმა ბ. მერნიკმა მიიწვია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ვარშავაში ი. ვან ცვოლი და განუცხადა პროტესტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ იმ უცხოელთა მიმართ შეზღუდვების შემოღების გამო, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ან ამ რესპუბლიკის გავლით მოგზაურობენ. ეს ღონისძიებები როგორც უკვე იუწყებოდნენ, ეხება მთელი რიგი საქონლისა და კვების პროდუქტების შეძენის აკრძალვას, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხოელ მოქალაქეთა ყოფნის შეზღუდვას.

ბ. მერნიკმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალთა გადაწყვეტილება არღვევს ნაცვალგების პრინციპს და ეწინააღმდეგება პოლონეთსა და გდრ-ს შორის ორმხრივ შეთანხმებას, ზიანს აყენებს კეთილმეზობლურ ურთიერთობას, ორ ქვეყანასა და მათს მოქალაქეებს შორის თანამშრომლობას, ეწინააღმდეგება ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტის და ვენის შეხვედრის საბოლოო დოკუმენტის სულისკვეთებას.

ფაქტი * მოვლენა * კომენტარი

მეცნიერი მივლინებიდან დაბრუნდა

ფრანგული დღიური

წერილი მესამე

ჯაბა ხაბულიანი 80 წელს გადაცილებული სიმპათიური ქართველი მოხუცია. 1924 წლის ამბოხების მონაწილეთაგან საფრანგეთის ემიგრაციაში იგი ჩავიდა ლევან ფალავასთან, პავლე კამაძესა და სიმონ ბლიაძესთან ერთად. ჯაბა ამჟამად ლევილის შატოში ექვთიმე თაყაიშვილის ყოფილ ბინაში ცხოვრობს. მეუღლე (ფრანგი მხატვარი) გარდაიცვალა, ხოლო ქალიშვილი ჟენერა (იგივე ჟაკლინა) ხაბულიანი პარიზში ცხოვრობს და მუშაობს, ოღონდ, შაბათ-კვირას, როგორც წესი, აუცილებლად მამასთან ატარებს ლევილში. ერთი უნდა განახათ, როგორ ელის ბ-ნი ჯაბა ყოველ შაბათს პარიზიდან მომავალ ავტობუსს: მან ზუსტად იცის, რომელ საათზე და რომელი რეისით უნდა ჩამოვიდეს მისი ქალიშვილი. ჩემი ერთი თვის მანძილზე იქ ყოფნისას მხოლოდ ერთხელ დააგვიანა ჟაკლინამ რამდენიმე წუთით ჩამოსვლა და უნდა გამოგეცადათ, მეც კი გადმომედო მამის შიში და თავშეკავებული ღელვა. ჟაკლინა მშვენივრად ლაპარაკობს ქართულად და ჯაბას ფარულ სიამაყეს საზღვარი არა აქვს, როცა ისმენს მისი ასულის ქართულ საუბარს. ჯაბა, როგორც საერთოდ სვანებს სჩვევიათ, უპრეტენზიო კაცია, არ უყვარს თავის წარსულზე ტრაბახი. მთელი სიცოცხლე ყოვლისდაგვარად ეხმარებოდა ემიგრაციაში მოხვედრილ ქართველებს და იზიარებდა მათ ჭირსა და ლხინს. შეწუხდა, — რა ვქნა, რით დაგეხმაროთ, ან საქართველოში რა გაგატანოთ, თუ მოგეწონთ, ეს ნახატები მიჩუქნი ქვეყნისთვისაო, — მითხრა და კედელზე ჩამოკიდებულ სურათებზე მიმითითა: ერთი — ტილოზე ზეთის საღებავებით შესრულებული გურულის არაჩვეულებრივად ძლიერი და ექსპრესიული პორტრეტია, საკმაოდ ძველი (ალბათ, ამ საუკუნის I მეოთხედისა), უცნობი მხატვრისა. მან ოთახში შესვლისთანავე მიიქცია ჩემი ყურადღება, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ასე ადვილად შეელეოდა მას ჩემი მასპინძელი. მეორე კი შედარებით ახალი, მუყაოზე ფერებით ნახატი კინტოა (მხატვრის ინიციალებია ვ. ჯ.). მე გულითადი მადლობა გადავუხადე ბ-ნ ჯაბას და შევპირდი, რომ მის ნობათს საქართველოს ხელოვნების მუზეუმს გადავცემდი. როგორც თქვენ გსურდეთო — დამეთანხმა მასპინძელი (აქვე შევნიშნავ, რომ თბილისში დაბრუნებისას, საქართველოს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმის დირექტორს თამაზ სანიკიძეს უკვე გადავეცი ჯაბა ხაბულიანის საჩუქარი, აგრეთვე, ლიდა და გიორგი ნოზაძეების ანდერძი მათი ფერწერული კოლექციის ამ მუზეუმისთვის დატოვების შესახებ).

...28 სექტემბერს მიუნხენიდან ზედიზედ დამირეკეს კარლო ინასარიძემ და ეთერ სალირაშვილმა და შემპირდნენ, მალე გესტუმრებით ლევილში, თან, თქვენ რომ გაგიხარდებათ, ისეთ რამეებს ჩამოგიტანთო.

მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ მიუნხენიდან მეწვია ქ-ნი ეთერ სალირაშვილი თავის მეუღლესთან — ამერიკელ პროფესორთან როი დე ლონთან ერთად და თავისი მანქანის საბარგულიდან მამის არქივის ძვირფასი დოკუმენტები ამოალაგა:

ეთერის მამა — დავით სალირაშვილი (1887-1962) ცნობილი ქართველი სოციალ-დემოკრატი იყო, პირადად იცნობდა ვ. ი. ლენინს და ი. ბ. სტალინს, გრიგოლ ურატაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღო 1920 წლის 7 მაისს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა რუსეთს შორის საზავო ხელშეკრულების დადებაში. დ. სალირაშვილის შესახებ საგანგებო წერილი დავბეჭდე მიმდინარე წლის 6 ივლისს და 8 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში" და აქვე გამოვაქვეყნე მისი ქართულ ენაზე დაწერილი მოგონებანი, თუ როგორ დაიდო ზემოთაღნიშნული ხელშეკრულება. და აი, მადლიერების ნიშნად შვილებს — შოთა და ეთერ სალირაშვილებს (ძმა ცხოვრობს ვაშინგტონში, და — მიუნხენში), რომ გაიგეს საფრანგეთში ვიყავი ჩასული, გადაუწყვეტიათ ჩემთვის ჩამოეტანათ მამის არქივის ერთი ნაწილი. კერძოდ, მასში აღმოჩნდა დავით სალირაშვილის რუსულ ენაზე დაწერილი გამოუქვეყნებელი ხელნაწერი ნაშრომები: „როგორ იცნო საბჭოთა მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობა" და „სტალინი — ჯუღაშვილი როგორც ისტორიული პიროვნება (პირადი მოგონებების მიხედვით)" ზარემ აქვე ვიტყვი, რომ თბილისში დაბრუნების შემდეგ დ. სალირაშვილის პირველი შრომა უკვე გამოვაქვეყნე გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" 15-18 ნოემბერს (№№ 261-264), ხოლო სტალინის შესახებ დაწერილი 202-გვერდიანი მონოგრაფია პუბლიკაციისთვის გადავეცი ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" რედაქტორს რ. მიმინოშვილს. ამას გარდა, ეთერ სალირაშვილმა გადმომცა დასავლეთის პრესაში მამამისის მიერ ქართულ, გერმანულ და რუსულ ენებზე დაბეჭდილი სტატიები, აგრეთვე 1940-50-იან წლებში ი. სტალინისადმი გამოგზავნილი დავით სალირაშვილის ღია წერილები. აქვე აღმოჩნდა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვის უცნობი (და ამდენად საინტერესო) კომპლექტი გაზეთისა „სამშობლოს განთავისუფლებისათვის", რომელსაც თურმე დავით სალირაშვილი 1957-58 წლებში მიუნხენში, არჩილ მეტრეველის ქართულ სტამბაში უშვებდა ქართულ და რუსულ ენებზე. გაზეთის დევიზი ეროვნული ჰიმნი — „დიდება" ყოფილა:

„დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს,
ტურფა ივერსა!..
დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისო
ქართველ მხნე ერსა!..".

გაზეთ „სამშობლოს განთავისუფლებისათვის" სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილებიდან აღსანიშნავია დ. სალირაშვილის „ლენინი და საქართველო", „ლადო დარჩიაშვილი", „მოგონებიდან დიდი ილიას მოკვლის გამო", „მოგონება საქართველოში საბჭოთა რუსეთის ელჩის შეინმანის საქმიანობის შესახებ", ი. გრიშაშვილის ლექსი „ჩემი წიგნის დაბეჭდვის დროს ასოთამწყობთან საუბარი"... ხოლო ინფორმაციებიდან დასახელების ღირსია: „სტალინის ორი ანდერძი", „კოტე აფხაზი", „ილია ჭავჭავაძის იუბილე პარიზში", „რომის პაპმა 1957 წლის 8 დეკემბერს აკურთხა ლტოლვილობაში მყოფი ქართველობა, წირვა შესრულდა ქართულ ენაზე ბერნატ მერლეტის მიერ", „პარიზის ბალეტში ცეკვავენ ქართველები ეთერ ფალავა და ივანე დრაგაძე"...

დ. სალირაშვილისეულ დოკუმენტებს შორის იდო აგრეთვე ფაშისტურ გერმანიაში 1942 წელს შემუშავებული საიდუმლო პროექტი „საქართველოს მთავარი რაიონები" თავისი რუკით. საიდანაც ირკვევა, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი გერმანელ ფაშისტებს საქართველოს დარაიონება მისი დაპყრობის შემდეგ. დავით სალირაშვილს ზედ გარეკანზე ჯერ კიდევ 1943 წლის 12 მარტს ქართულად წაუწერია წინასწარმეტყველური სიტყვები: **„არა დროს არ მოხდება საქართველოს ასეთი დაპყრობა. ეს პოლიტიკა დაღუპავს თვით ჰიტლერის გერმანიას. ბერლინი, 12. 3. 43. დ(ავით) ს(ალირაშვილი)"**.

დავით სალირაშვილის ეს წარწერა თავისთავად მეტყველებს მის უდიდეს პატრიოტიზმსა და ქართველობაზე!

ეთერ სალირაშვილის მეუღლე როი დე ლონი ამერიკელი პროფესორია, წარმოშობით პოლონელი, პროფესიით ისტორიკოსი. მას თან ჰქონდა თავისი სადოქტორო დისერტაციის ასლი: „სტალინი და სოციალ-დემოკრატია. 1905-1922 წწ.", რომლის ხელნაწერი დედანი აშშ-ში ინახება.

მალე მიუნხენიდან გვესტუმრა ბ-ნი კარლო ინასარიძეც. მან ორი სასიხარულო ამბავი მაცნობა: პირველი ის, რომ გამზადებული აქვს ჩემთვის გადმოსაცემად და საქართველოში ჩამოსატანად ხმების გრამჩანაწერები ისეთი გამოჩენილი ქართველებისა, როგორიც იყვნენ მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე, პროფესორი მიხაკო წერეთელი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, რუსთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე, ეკატერინე გაბაშვილის ვაჟი — ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე რევაზ გაბაშვილი და სხვ., ამასთან ერთად, მდიდარი არქივები ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორების — ქიმიკოს კირილე ვეკუასა და ეკონომისტ მიხეილ ახმეტელისა, ხოლო რაც შეეხება ახლახან გარდაცვლილ გაიოზ მაღლაკელიძეს (რომელიც მძიმე ავადმყოფი ვინახულე ამა წლის აპრილში მიუნხენში ყოფნის დროს), მისი მეუღლე გვთავაზობს, რომ საქართველოს დაუბრუნდეს ქმრის არქივი. თავის მხრივ, კარლო ინასარიძე აპირებს საქართველოს ხელოვნების მუზეუმს უძღვნას როდენის ერთ-ერთი ქანდაკების ორიგინალის ზუსტი დანომრილი და დამოწმებული ბრინჯაოს ასლი, რომელიც 20 კგ-ზე მეტს იწონის. თავისი სიტყვების დასტურად კარლო ინასარიძემ საქართველოში გამომატანა რამდენიმე საარქივო დოკუმენტი პროფ. კირილე ვეკუას და გაიოზ მაღლაკელიძის არქივებიდან და ოფიციალური წერილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნოდარ ჭითანავასადმი, ხოლო პირადი არქივიდან დამითმო აკაკის „სულიკოს" გერმანული თარგმანის ხელნაწერი, გრ. რობაქიძის მიმართვები ქართველი ხალხისადმი, ქართველი ახალგაზრდობისა და ქართველი მწერლებისადმი, მისივე „სულის დამლა" (სამ ნაწილად), აგრეთვე, პირადი წერილები გრ. რობაქიძის, გ. ნაკაშიძის, გ. წერეთლის, გ. კვინიტაძის, რ. გაბაშვილის, გ. ერაძის, ო. ამილახვრის, ვ. ჩუბინიძის, გ. კობახიძის, კ. სალიას და სხვ.

მეორე საიამოვნო ამბავი ის გახლავთ, რომ კარლო ინასარიძემ მთხოვა პირადად გადამეცა ასეთი შინაარსის ბარათი მისი უწმინდესობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ისადმი:

„თბილისი, სიონის ტაძარი
თქვენო უწმინდესობავ,

ჩვენ-თინა და კარლო ინასარიძემ, 1989 წლის 16 ოქტომბერს შევუკვეთეთ ზარების ჩამომსხმელ ფირმას პასაუში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ნახევარტონიანი ზარი, რომელიც მზად იქნება 1990 წლის თებერვალში, და სატრანსპორტო ფირმა ჩამოიტანს თბილისში. ზარის ფასი და ტრანსპორტის ხარჯი უკვე გადახდილია.

ეს ზარი ჩვენ შევწირეთ სოფელ კუშუბოურის (ვანის რაიონი) ეკლესიას, და გვსურს დასვენებულ იქნას სოფელ კუშუბოურის ეკლესიის სამრეკლოში, რომ მოემსახუროს ამ ეკლესიის მრევლს. ზარს ექნება წარწერა ორ ენაზე — ქართულად და გერმანულად, წმ. გიორგის გრავიურა და ფირმის ემბლემა თარიღით...

დაე, ამ ზარის რეკვა-გუგუნმა ამცნოს სამყაროს საქართველოს, ქართველი ხალხის უკვდავი ეროვნული დიდბუნოვანება, მრწამსი და ჰუმანიზმი...

უღრმესი პატივისცემითა და ქართული სალამით თინა პატარიძე-ინასარიძისა, კარლო ინასარიძე; მიუნხენი-პარიზი, 1989 წლის 21 ოქტომბერი".

ბ-ნმა კარლო ინასარიძემ მითხრა, რომ ასეთივე განზრახვა — თავიანთი მშობლიური სოფლებისთვის ზარების გამოგზავნისა, აქვთ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ქართველებსაც, კერძოდ, გფრ-ის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარეს ბ-ნ ქრისტეფორე კირკიტაძეს (ტყიბულის რაიონის სოფელ მუხურასთვის)...

...ორივე თხოვნა შევუსრულე ქ. ინასარიძეს: მისი წერილები ამ დღეებში გადავეცი მის უწმინდესობა კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს და რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოდარ ჭითანავას, რომელთაც მადლობის გრძნობით აღიქვეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქართველთა სათვისტომოს მიერ გადადგმული კეთილშობილური და პატრიოტული ნაბიჯები...

სპირიდონ კედიას შესახებ გაზეთ „თბილისში" წელს გამოქვეყნებული ჩემი წერილის შესახებ პარიზში მცხოვრებმა მისმა ასულმა თეონა კედიამ თბილისიდან პროფესორი ირინე ქლენტის მეშვეობით ჯერ კიდევ ზაფხულში, ტელეფონით საუბრის დროს შეიტყო: არ მჯერა, ჩემო ქუცუნა, მამაჩემზე ვინ გაბედავდა თქვენთან რაიმეს დაწერას და თუ გაბედა, ვინ დაუბეჭდავდაო! — დაეჭვებით უთქვამს თეო კედიას თავისი ბავშვობის დროინდელი მეგობრისთვის. მაშინ ირინეს ტელეფონით თითქმის მთელი საგაზეთო წერილის წაკითხვა მოუხდა თურმე. — როგორმე მომაწოდე, დედაჩემს ძლიერ გაუხარდებაო — უთხოვია თეონას. მალე თვით წერილის ავტორი მოდის პარიზში და თვითონ ჩამოგიტანსო — იყო პასუხი თბილისიდან.

...ლევილში ახალჩასულმა პარიზში კედიებთან დავრეკე და ვუთხარი, ვინც ვიყავი. მე და დედაჩემი მოუთმენლად გელით და როდის მობრძანდებითო, — მკითხა ქ-ნმა თეო კედიამ. დავთქვით 6 ოქტომბერი, დღის 4 საათი.

აქვე მკითხველს შევახსენებ, რომ სპირიდონ კედია (1884-1948) გახლდათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი უცვლელი ლიდერი (1917 წლიდან) პარიზში გარდაცვალებამდე (1948 წლამდე), ილიას მიმდევარი, მაღალი კულტურის ინტელიგენტი, დიდად განათლებული საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, ცნობილი ჟურნალისტი სპ. კედია თითქმის 30 წელი უძღვებოდა ილია ჭავჭავაძის იდეებზე ამოზრდილ ქართველ ეროვნულ-დემოკრატთა პარტიას. პარიზში სცემდა ჟურნალ-გაზეთებს („სამშობლოსათვის", „საქართველოს გუშაგი"), წერდა შესანიშნავ ლიტერატურულ და პუბლიცისტურ წერილებს. ამ მხრივ, პირდაპირ კლასიკურია მისი „ილია ჭავჭავაძე (ერთი თვალის გადავლებით)", რომელიც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს აზრის სიღრმით, სტილის ბრწყინვალებით, თხრობის ექსპრესიულობით (გამოქვეყნდა პარიზში, 1932 წელს, გაზეთ „საქართველოს გუშაგში")...

...დათქმულ დროზე პარიზში კედიებთან ვიყავი. კარი თეონა სპირიდონის ასულმა კედიამ გამიღო. იგი პიანისტია, პარიზის კონსერვატორია აქვს დამთავრებული. ოთახში სპირიდონ კედიას მეუღლე ქ-ნი სოფიო ჩიჯავაძე მელოდა, რომელსაც ამა წლის 14 აპრილს დაბადებიდან 105 წელიწადი შეუსრულდა. მასზე ლეგენდებს ჯერ კიდევ საქართველოში მოღვაწეობის დროიდან ჰყვებიან. იგი თბილისში გახლდათ წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიის დირექტორი, უაღრესად განათლებული, დიდებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდა თავის მოწაფეებს. სხვათა შორის, მისი ყოფილი მოწაფეა ამჟამად ლევილში მცხოვრები 90 წელს მიწევნილი ქ-ნი ლიდა შარაშიძე-ნოზაძისა, რომელიც ქ-ნ სოფიო ჩიჯავაძის ხსენებაზე ახლაც მოკრძალებისაგან და, თქვენ წარმოიდგინეთ, შიშისაგანაც წელში იწურება... რომ გაიგო ქ-ნ სოფიოსთან მივდიოდი სტუმრად, არ დაიჯერა, მასთან მოხვედრა ადვილი არ არის, ის თითქმის არავის ღებულობსო!

და აი, მე ქ-ნ სოფიო ჩიჯავაძის წინ ვდგავარ: სათნო, მაგრამ შინაგანად მკაცრი და ასკეტური, ცხოვრების გრძელ და ათასგვარი განსაცდელით სავსე გზას ვერ გაუტეხია, ვერ მოუდრეკია მისი ამაყი სული! იოსებ გრიშაშვილმა თავისი საუკეთესო ლირიკული ლექსები თავის დროზე სწორედ სოფიო ჩიჯავაძის მშვენიერებას უძღვნა! 100 წლის რომ გამხდარა, პარიზის მერს, ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, საფრანგეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ჟაკ შირაკს საგანგებოდ დამზადებული მედალი და დიპლომი მიურთმევია სოფიო ჩიჯავაძე-კედიასთვის, როგორც პარიზის უხუცესი მოქალაქისთვის. **საამაყოა, რომ საფრანგეთის დედაქალაქის უხუცესი მოქალაქე — 105 წლის ქართველი მანდილოსანია!**

ქ-ნი სოფიო იგონებს საქართველოში გატარებულ წლებს, იგონებს ნიკო ცხვედაძეს (მეგობრობდა მის ქალიშვილთან), იგონებს ივანე ჯავახიშვილს, თბილისის უნივერსიტეტს და მოულოდნელად მეკითხება: როგორ არის უნივერსიტეტის პირისსახისფერი მარმარილოს კიბეები, ხომ უფრთხილდებით? მასზე ხომ ჩვენი დიდი წინაპრების ნაკვალევია აღბეჭდილი!

და მე დავინდე ჩვენი უნივერსიტეტის თაყვანისმცემელი 105 წლის მოხუცი ქართველი მანდილოსანი, მის დაქანცულ გულს გავუფრთხილდი და ვიცრუე, ვერ ვუთხარი სიმართლე, თუ როგორ გაანადგურეს უნივერსიტეტის „მორიგი იუბილესათვის" მზადების დროს, რემონტის მომიზეზებით, ამ ყოფილი ქართული გიმნაზიის დიდებული შენობის იტალიური მარმარილოთი დაგებული კიბეები. ვერ ვუთხარი, თუ სად გაქრა მისი „პირისსახისფერი" ფილები, რომელსაც აჩნდა ილია ჭავჭავაძის, ნიკო ცხვედაძის ვაჟა-ფშაველას, ივანე ჯავახიშვილის ნაფეხურები... ბევრი სხვა ჩვენი სულისშემძვრელი სატკივარი ვერ ვუთხარი საქართველოზე დარდით დაღლილ 105 წლის ქართველ პედაგოგ ქალს! იმასაც კი ვფიქრობ, რომ მეთქვა, შესაძლოა, ვერც გაეგო, როგორ ხდება, რომ ევროპის უნივერსიტეტებში, რომლებიც არსებობის რამდენიმე საუკუნეს ითვლიან, ერთი ძველი ქვაც კი არ არის შეცვლილი და გადაადგილებული, მაშინ როცა ჩვენი უნივერსიტეტის შენობას, რომელსაც ჯერ ხეირიანად 100 წელიც კი არ შესრულებია, ბ-ნი ევგენი ხარაძის რექტორობის შემდეგ, თითქმის ყოველ წელს „არემონტებენ" და „ალამაზებენ", თითქმის ყოველ წელს რაღაც „იუბილეს" უხდიან და ყოველი ასეთი „იუბილე" უნივერსიტეტის დანგრევით და დამახინჯებით მთავრდება!

ქ-ნ სოფიო ჩიჯავაძეს დაუმთავრებია „მოგონებების" წერა (გადმომცა მისი წინასიტყვაობა), რომელიც, პირველ რიგში, საინტერესოა სპირიდონ კედიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრულყოფილი სურათის აღსადგენად. წიგნს პარიზში მალე გამოსცემს ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის დირექტორი ჟანრი კაშია...

გურამ შარაძე.



Der Reichsminister für die besetzten Ostgebiete

Entwurf

Der Generalbezirk
GEORGIEN

Abgeschlossen am 10. Januar 1943

არა დროს არ მოხდება საქართველოს ასეთი დაპყრობა. ეს პოლიტიკა დაღუპავს თვით ჰიტლერის გერმანიას.
ბერლინი. 12. 3. 43.
დ. ს.

REICHSKOMMISSARIAT KAUKASIEN



სურათებზე: საქართველოს დაპყრობა-დარაიონების ფაშისტური გეგმა დ. სალირაშვილის წარწერით; სოფიო და თეო კედიები; უცნობი მხატვრის „გურულის პორტრეტი".

ავტორის ფოტო.

აღდგა უძველესი საეპისკოპოსო



ისტორიის ფოლიანტებმა უდიდესი სიამაყის გრძნობით შემოგვინახა ცნობა იმის შესახებ, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის პირველმა რეფორმატორმა მეფე ვახტანგ გორგასალმა „...დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახი ზისასა, ერთი არტანს ერუშეთს, ერთი ჯავახეთს, წუნდას, ერთი მანგლისს, ერთი ბოლნისს, ერთი რუსთავს..." ამრიგად, მეხუთე საუკუნეში რუსთავი საეპისკოპოსო ცენტრი გამხდარა. უფრო ადრე ამ უძველეს ქალაქში თრდატ მეფის მიერ არხის გაყვანისა და ეკლესიის აგების ცნობას გვაწვდის „მოქცევაი ქართლისაი": „და მეფემან რუს სთვისა რუ გამოიღო და ეკლესიას საფუძველი დადვა".

ისტორიული სინამდვილე არქეოლოგიური კვლევის შედეგადაც დადგინდა. გადაწყდა წმინდა ნაფუძარზე ახალი ეკლესიის აგება და უძველესი საეპისკოპოსოს აღდგენა. კეთილშობილური საქმე დღევანდელმა რუსთაველებმა იკისრეს. ენთუზიასტებმა ქველმოქმედთა შემოწირული თანხებით ეკლესია რამდენიმე თვის განმავლობაში ააგეს. ეს მომხიბლავი შენობა, ჟურნალისტ რ. გაბრიჩიძის ფოტოზე რომ არის აღბეჭდილი, ტოლს არ უდებს წარსულის დიდ ქართველ ოსტატთა ნალვაწს. ეკლესიას ღვთისმშობლის ხარების წმინდა სახელი მიეკუთვნა.

ამჟამად აქვე შენდება მეორე ეკლესია, იგი მოცულობით ერთ-ერთი ვრცელი იქნება საქართველოში. სიგრძე — 26, სიგანე — 14, სიმაღლე — 18 მეტრი. ბაზილიკის ტიპის სამნავიანი უგუმბათო ნაგებობას ქართველთა მეფის — წმინდა ვახტანგ გორგასალის სახელი მიერქმევა.

ამ დღეებში რუსთავში ჩამობრძანდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. მან აკურთხა ღვთისმშობლის ხარების ეკლესია და ვახტანგ გორგასალის სახელობის ეკლესიის მშენებლობა, აღავლინა ლოცვა, რომელსაც არა მარტო რუსთაველები დაესწრნენ, არამედ მრავლად მოვიდნენ მორწმუნენი ქვემო ქართლის სოფლებიდან და ქალაქებიდან.

დავით ბიწაძე.

• • •

სურათზე: რუსთავის ღვთისმშობლის ხარების ეკლესია.

სატურნირო ორბიტა

● **ძიუდო.** ათენში, სადაც გაიხსნა ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში ახალგაზრდებს შორის, ჩინებულად დაიწყეს შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენებმა. პირველ დღეს უძლიერესის სახელი მოიპოვეს მოსკოველმა არამ აკოპჯანიანმა (78 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში), გივი გაურგაშვილმა (95 კგ), რომელიც ამ ჩემპიონატზე ჩელიაბინსკელთა სახელით გამოდის, და ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა (95 კგ-ს ზევით). მესამე ადგილი მოიპოვა თბილისელმა დავით ბაგაურმა (86 კგ).

ქალთა შორის წარმატებას მიაღწია პერმელმა ტატიანა ბოგომიახკოვამ (61 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში), ხოლო მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა მახაჩკალელი აიშატ მუსაევა (66 კგ).

● **კლასიკური ჭიდაობა.** მსოფლიო თასის უცვლელმა მფლობელმა — სსრ კავშირის ნაკრებმა კვლავ წარმატებას მიაღწია. ამჯერად მან ნორვეგიის ქალაქ ფრედერიკსტადში გამართულ ტურნირზე მოიპოვა საპატიო პრიზი.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში, რომელსაც არცერთი შეხვედრა არ წაუგია, შედიოდნენ ომსკელი სერგეი სუვოროვი, კიეველი ანდრეი კალაშნიკოვი, როსტოველები სერგეი ბელანოვი, ისლამ დუგუჩიევი, სერგეი ნასევიჩი, კიეველი ვიაჩესლავ კლიმენკო და ჩელიაბინსკელი ვლადიმირ გრიგორიევი.

● **ჭადრაკი.** ბელგრადში საერთაშორისო ტურნირში ბრწყინვალედ იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა. მან 11 შესაძლებლობიდან 9,5 ქულა მოაგროვა და მთავარი პრიზი მოიპოვა.

ბოლო, მეთერთმეტე პარტიაში მან დაამარცხა იუგოსლავი დიდოსტატი პრედრაგ ნიკოლიჩი. ეს შეხვედრა ოთხსაათ-ნახევარი გაგრძელდა, ხოლო ამ მატჩში მოპოვებულმა ქულამ გარი კასპაროვს შესაძლებლობა მისცა სამი ქულით გაესწრო უახლოესი მეტოქეთათვის — იან ტიმანისა და იან ელვესტისათვის.

ამ ტურნირზე კასპაროვმა შესანიშნავ შედეგებს მიაღწია, მოაგროვა 9,5 ქულა 11 შესაძლებლობიდან, ხოლო ელოს სისტემის რეიტინგი გაზარდა 2805 პუნქტამდე. ამგვარად, მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა 25 პუნქტით გაუსწრო ექს-ჩემპიონ რობერტ ფიშერის მიღწევას.

აი, ასე გამოიყურება დამამთავრებელი ტურის შედეგები: გ. კასპაროვი — 9,5 ქულა; ტიმანი, ელვესტი — 6,5—6,5 ქულა, იუსუპოვი, ლიუბოევიჩი — 6—6; ჰიარტარსონი — 5,5; კოჟული, აგდესტეინი — 5—5; შორტი, ნიკოლიჩი — 4,5—4,5; პოპოვიჩი — 4; დამლიანოვიჩი — 3.

ალექსანდრე ბეგალიშვილი

ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი მუსიკოსი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, 1952 წლიდან სკკპ წევრი ალექსანდრე გრიგოლის ძე **ბეგალიშვილი.**

მუსიკოსის სახელთან დაკავშირებულია ალტზე შემსრულებლობისა და პედაგოგიკის მაღალპროფესიული ტრადიციების ნაყოფიერი განვითარება საქართველოში.

ა. ბეგალიშვილი დაიბადა 1923 წელს თბილისში. 1944 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სავიოლინო კლასი (ხელმძღვანელი — პროფესორი ლ. იაშვილი). 1944-1967 წლებში იგი უკრავდა ალტზე საქართველოს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტში. ამ შესანიშნავ კოლექტივში მკაფიოდ გამოვლინდა მისი საშემსრულებლო ნიჭი, დაიხვეწა და განვითარდა მუსიკოს-ანსამბლისტის ოსტატობა. კვარტეტის შემადგენლობაში იგი ფართო საკონცერტო მოღვაწეობას ეწეოდა, გასტროლებს მართავდა საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში, უცხოეთის ქვეყნებში, საქართველოს ყველა რაიონსა თუ კუთხეში. 1952 წელს კვარტეტის სხვა წევრებთან ერთად სიმებიანი კვარტეტების საერთაშორისო კონკურსზე პრაღაში ა. ბეგალიშვილი ლაურეატი გახდა. იმავე წელს თავის კოლეგებთან ერთად ა. ბეგალიშვილი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. ეს იყო პირველი შემთხვევა ქართული მუსიკალური კოლექტივის ესოდენ ფართო აღიარებისა.

მრავალი წლის მანძილზე ა. ბეგალიშვილი იყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიისა და საქართველოს რადიოს სოლისტი. როგორც ანსამბლისტსა და სოლისტს, მას შესრულებული აქვს მუსიკალური კლასიკისა და ქართველი კომპოზიტორების მრავალი ნაწარმოები. იგი იყო ალტისათვის დაწერილი მთელ რიგ ნაწარმოებთა პირველი შემსრულებელი.

ათეული წლების მანძილზე ა. ბეგალიშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასა და ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში, ზრდიდა ახალგაზრდა მუსიკოსთა თაობებს.

ა. ბეგალიშვილის ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი კოლეგების, მოწაფეების, მუსიკის მოყვარულთა გულში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია; საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია.

ნათელა ქიქოძე

ქართულმა სამედიცინო საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა მეცნიერებათა დოქტორი, კარდიოლოგი ნათელა ლავრენტის ასული **ქიქოძე.**

იგი 1920 წელს დაიბადა ქ. თბილისში. 1942 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და უკვე 1943-1944 წლებში ევაკოჰოსპიტალის თერაპიული განყოფილების ორდინატორად მუშაობდა.

ფართო ერუდიციის მკვლევარის, დიდად გამოცდილი კლინიცისტის ცხოვრების გზა მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოში კარდიოლოგიური მეცნიერების განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებთან. ომის შემდეგ, გ. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის შექმნისთანავე, იგი იქ იწყებს მუშაობას და მთელ თავის მონდომებას და შრომისმოყვარეობას ინსტიტუტის სამეცნიერო და კლინიკური პოტენციალის სრულყოფას ახმარს.

პროფესორი ნათელა ქიქოძე იმ დიდი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი იყო, რომლებსაც საფუძველი ცნობილმა ქართველმა ექიმებმა ჩაუყარეს. ამ ინსტიტუტში მან პროფესიული ზრდის დიდი გზა განვლო ორდინატორიდან არტერიული ჰიპერტონიის განყოფილების ხელმძღვანელამდე.

პროფესორი ნათელა ქიქოძე იყო დისერტანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელი, ახალგაზრდა ექიმთა მთელი თაობის აღმზრდელი. მრავალი დისერტაციის ოპონენტი, რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს და საზოგადოების წევრი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შესანიშნავი პიროვნული თვისებები — კაცთმოყვარეობა, ადამიანური სითბო, ღრმა ინტელიგენტურობა და სისადავე.

დაუვიწყარია პროფესორი ნათელა ქიქოძე მისი კოლეგების, ახლობლების და, რაც მთავარია, მადლიერი ავადმყოფებისათვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კარდიოლოგიის ინსტიტუტი.

რ. მ. ლალიძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 29 ნოემბერს 19 საათზე განსვენებულის ბინაში, გრიბოედოვის ქ. № 9, გამოსვენება 30 ნოემბერს 15 საათზე.

დაკრძალვა საზოგადო მოღვაწეთა საბურთალოს ახალ პანთეონში.

დიალოგი ცხინვალში

თანამედროვე სიტუაციის, შექმნილი მძიმე მდგომარეობის განმუხტვის მიზნით 27 ნოემბერს, საღამოს, ცხინვალში ჩავიდნენ საზოგადოებრივ მოძრაობათა წარმომადგენლები, აგრეთვე თბილისელი ოსების ჯგუფი. მათ გულახდილი, კონსტრუქციული დიალოგი გამართეს „ადამონ ნიხასის", ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, რომელიც დილამდე გაგრძელდა. ამ შეხვედრაზე გამოიკვეთა ორივე მხარის მისწრაფება — გაიმარჯვოს გონიერებამ. შეხვედრის მონაწილენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ერთმანეთთან ხშირი შეხვედრები, დიალოგი, რომელიც გაფანტავს გაუგებრობის ღრუბლებს, მიგვიყვანს ჭეშმარიტებამდე.

დღეს უპირველესია ხალხის გულებთან ახლოს მისვლა, აქეთკენ უნდა წარიმართოს მთელი ძალისხმევა. უნდა შევიგნოთ, რომ ქართველ-ოსთა ნათესაური ჯაჭვის გაწყვეტა დანაშაულია მომავალი თაობის წინაშე. ახლა როგორც არასდროს, საჭიროა ერთმანეთის მხარში ამოდგომა. ბოლო უნდა მოეღოს ყოველგვარ ჭორებს, რომელიც ძაბავს სიტუაციას.

გივი თედეევი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ახალი სკოლა ალავერდში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). 9 ნოემბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის მოსწავლე-ახალგაზრდობამ პირველი გაკვეთილები მოისმინა საშუალო სკოლის კეთილმოწყობილ შენობაში.

ალავერდის საშუალო სკოლის სამსართულიან შენობაში კლასები და კაბინეტები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, თვალსაჩინოებით და სასწავლო ინვენტარით.

შენობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, აწგანსვენებული ა. გლურჯიძის ინიციატივით აავო ზესტაფონის საკოლმეურნეო სამშენებლო საბჭომ.

სკოლა ატარებს სახელოვანი ქართველი მეცნიერის ლევან ყანჩაველის სახელს.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

ტელევიზია—ოთხშაბათი, 29 ნოემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მოსწავლეთათვის. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 14.20 — მხატვრული ფილმი „სანამ დავშორდებოდეთ". 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — დოკუმენტური ფილმი „ლატვიის წითელი წიგნი" (პირველი ჩვენება). 16.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.00 — ხალხური შემოქმედება. არაგვის ხეობის თვითმოქმედება. 17.30 — შევისწავლოთ გერმანული ენა. 18.00 — „თვალსაწიერი". სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 18.45 — „მუშათა კონტროლი მოქმედებს". 19.30 — საბჭოები და ეროვნული კონცეფცია. 20.00 — მოამბე. 20.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ასა". პირველი სერია. 22.00 — „ვრემია". 22.50 — ლიტერატურული თეატრი. „პალესტინა, პალესტინა...". 23.30 — „პუნქტუმ კონტრა პუნქტუმ".

მეორე პროგრამა. 17.35 — ქართული მხატვრული ფილმი „კარიერი". 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სოფლის ცეკვები". 19.40 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 20.00 — მოამბე. 20.40 — მოსწავლეთათვის. მათემატიკა. 21.25 — მხატვრული ფილმი „ხან მოკლე შეხვედრები".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — „მღერიან მსოფლიოს ბავშვები". 10.20 — „წელიწადის დრონი". ნოემბერი. 11.20 — სსრკ სახალხო არტისტი ა. დიკი. 12.35 — ალმანახი „მსოფლიოს გარშემო". 16.30 — მუსიკალური საგანძური. ბეთჰოვენის სონატები. 17.10 — დოკუმენტური ტელეფილმები. 17.40 — ბავშვის საათი ინგლისური ენის გაკვეთილითურთ. 18.45 — იუგოსლავიის ტელევიზიის პროგრამა, 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — პროგრესი. ინფორმაცია. რეკლამა. 20.30 — საფეხურები. 22.00 — „ვრემია". 22.50 — მხატვრული ტელეფილმი „მამა მიელინებაშია". III სერია. 23.50 — დღეს მსოფლიოში. 0.05 — მუსიკალური ტელეფილმი „ასაფ მესერერი".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში, 9.15 და 12.15 — „ბუნების საიდუმლოებანი". 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. III კლასი. 10.05 და 11.05 — გერმანული ენა. 11.35 და 12.35 — ფიზიკა. VII კლასი. 12.05 — ახალი ამბები. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „სადღაც ქუხს ომი". II სერია 14.20 — დოკუმენტური ფილმი. 14.40 — კონცერტი. 18.00 — ახალი ამბები. 18.10 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „ნიკოლო პაგანინი". III სერია. 19.20 — გამოცდილება, პრობლემები, გადაწყვეტანი. 19.45 — უკრაინის სახტელერადიო 20.20 — სპორტი და პიროვნება. ტატიანა ტარასოვა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახტელერადიო. 22.00 — „ვრემია". 22.50 — საესტრადო პროგრამა „იტალია-2000". მღერიან ჯანი მორანდი და ლუჩიო დალა. 0.20 — „ჩვენი ბალი". 0.50 — ახალი ამბები.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 06434 97122 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14